გაზეთი ბიეჭრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№131 (1026) 31 დეკემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„სვაბოდის წელი ყოფილიყოს, სვაბოდის!..“ – როგორ ხვდებიან ახალ წელს პატიმრები

პატიმრის დღიური

პურიდან ცხვირსახოცით გამოდევნილი საფუარი, უჩვეულო მეთოდით მიღებული ფქვილი, „ჩაიდანში“ გამომცხვარი ხაჭაპური, ორცხობილისგან დამზადებული შოკოლადის ტორტი, საკნებში გამოხდილი ორნახადი არაყი და ბოთლებისგან დამზადებული ნაძვისხე

გვ. 7

ბილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს

როგორ შევხვდეთ ახალ, 2015 წელს

გვ. 9

სად მოვუწყოთ ჯადოსნური საღამო პატარებს

მუშტი-კრივი პარლამენტში

გვ. 8

რატომ ჩხუბობენ დეპუტატები და ვის ეკისრება საკანონმდებლო ორგანოში მოწყობილი სანახაობის გამო პასუხისმგებლობა

ნოდარ ხადური ყველა ბრალდებას პასუხობს

ექსკლუზივი

„შეიძლება, ტელეფონი ჩემთვის არ უნდა ამეღო და ალბათ, მორალურად მართალი არ ვიყავი, მაგრამ ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ დამიხარჯავს!“

გვ. 3-4

რა იყო ღარის გაუფასურების რეალური მიზეზი, რას ელის 2015 წელს და რა „დისკრიმინაციული“ საახალწლო ტრადიცია აქვს ფინანსთა მინისტრს ოჯახში

„პუტინმა პირდაპირ თბილისი უნდა დაბომბოს!“ – „მეხუთე კოლონის“ საიდუმლო სერობა

იგორ გიორგაძე საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციას ქმნის?

გვ. 5

საშვიდნოემბრო პრემია გიგაურსაც აუღია

პრეზიდენტმა კიდევ 84 მსჯავრდებული შეიწყალა

მსჯავრდებულთა შეწყალების მორიგ აქტს პრეზიდენტმა ხელი 30 დეკემბერს მოაწერა.

როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ზვიად ქორიძემ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, 63 მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან იმავე დღეს გაუშვეს. მათგან ერთი ქალია, ერთი კი არასრულწლოვანი.

ამასთან, 21 მსჯავრდებულს შეუმცირდა სასჯელი. მათგან 1 ქალბატონია, 4 კი არასრულწლოვანი.

როგორც ზვიად ქორიძემ აღნიშნა, 22-24 დეკემბერს კომისიამ აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა და 493 საქმე განიხილა, რის შემდეგაც პრეზიდენტს გადაუგზავნეს სია.

რაც შეეხება დანაშაულის ტიპს, ძირითადად, საუბარია თაღლითობაზე, ასევე ქურდობა, სხეულის დაზიანება და ნარკოტიკული ტიპის დანაშაული.

შეწყალება მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებულ მსჯავრდებულებს არ შეხებია.

პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროექტი 86 500 ლარით დაფინანსდება.

თანხა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, დავით პატარაიას განმარტებით: **„მივიღეთ გადაწყვეტილება, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდეს შეწყალებულ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროექტი. ამ პროცესში მონაწილეობას მიიღებენ დიდი ნდობის და გამოცდილების მქონე ორგანიზაციები. პროექტი მოემსახურება მსჯავრდებულთა სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიურ ჯანდაცვას, ასევე სამართლებრივ საკითხებში დახმარებას“.**

პატარაიასვე თქმით, პროექტის მიზანია, შეწყალებული მსჯავრდებულები სრულფასოვნად დაუბრუნდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. პროექტი გათვლილია 3 თვეზე და განხილვის შედეგად გაგრძელდება. შესაძლოა, მასშტაბებიც გაიზარდოს, მაგრამ ეს შედეგებზე იქნება დამოკიდებული.

„პირველი“

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს დაზღვევა არ უუქმდებათ

შსს-ს ყველა თანამშრომელს დაზღვევის იგივე პირობები ექნება — შინაგან საქმეთა სამინისტრო კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივის“ მიერ გავრცელებულ არასწორ ინფორმაციას პასუხობს. კოალიციის წარმომადგენლებმა გაავრცელეს დეზინფორმაცია, თითქოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები სამედიცინო დაზღვევის გარეშე რჩებიან.

„გვსურს, ვუპასუხოთ აღნიშნულ განცხადებას, რომლის მიზანიც საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს უკლებლივ ყველა თანამშრომელს 2015 წელს შეუნარჩუნდება სამედიცინო დაზღვევის იგივე პირობები, რომელიც ჰქონდათ 2013-2014 წლებში. ასევე, თანამშრომელთა ოჯახებს საშუალება ექნებათ, ისარგებლონ მოქნილი და საიმედო სადაზღვევო პაკეტებით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თანამშრომლების სამედიცინო დაზღვევით უზრუნველსაყოფად დაიცვა კანონმდებლობის ყველა მოთხოვნა: ჩაატარა ბაზრის კვლევა, გამოაცხადა ორი ტენდერი და კონკურენტულ პირობებში შეარჩია მზღვეველი კომპანიები. მომსახურების შესყიდვა ყველაზე ოპტიმალური სადაზღვევო პაკეტების მიხედვით, 2015 წლიდან მოხდება სადაზღვევო ბაზარზე არსებული ყველაზე დაბალი ფასებით“.

„პირველი“

ზოგიერთი თანამდებობის პირის სისხლის სამართლის საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო აღარ განიხილავს

ჩხრეკისა და ამოღების წესი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ახლებურად განისაზღვრება, — აღნიშნულს „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს.

ცვლილებებით ხდება საპროცესო მოქმედებასთან — ნიმუშის აღებასთან დაკავშირებული პროცედურების დახვეწაც, დეტალურად განისაზღვრება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ნიმუშის აღების წესი.

ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

აგრეთვე, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირების სისხლის სამართლის საქმეებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო აღარ განიხილავს.

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების“ შესახებ კანონპროექტის ავტორები არიან მანანა კობახიძე, დავით საგანელიძე, გედევან ფოფხაძე, ზვიად კვაჭანტირაძე და თამაზ ავდალიანი.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოდან ისრაელში საშობაოდ მომლოცველები ჩავლენ

საშობაოდ ისრაელში მომლოცველები საქართველოდანაც ჩავლენ. საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის, ისრაელში საშობაო ტურის ხელმძღვანელის, მარიამ გოგიშვილის ინფორმაციით, დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ საშობაო ტურში სულ 31 მომლოცველია; მათ შორის სასულიერო პირებიც. ტური ისრაელში 4 იანვარს დაიწყება და 11 იანვარს დასრულდება.

მისივე თქმით, საშობაო ტურის ორგანიზებისას პრობლემა არ შექმნიათ, რადგან საქართველოსა და ისრაელს შორის უვიზო რეჟიმია.

გოგიშვილის განცხადებით, მომლოცველთა ჯგუფში მყოფი პირების დოკუმენტაცია საქართველოში ისრაელის საელჩოში გადააგზავნეს, რის შემდეგაც თანხმობა მიიღეს.

საპატრიარქოს ტურის მონაწილეები ერთი კვირის განმავლობაში ისრაელში მართლმადიდებლურ ეკლესია-მონასტრებსა და სიწმინდეებს მოილოცავენ.

ქრისტიანული სამყარო 7 იანვარს მაცხოვრის, იესო ქრისტეს შობის დღესასწაულს აღნიშნავს. წმინდა სახარების მიხედვით, უფალი იესო ქრისტე, სულიწმინდის მადლით ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისგან, უდიდესი თავმდაბლობის ნიშნად, ბეთლემში, გამოქვაბულში იშვა, სადაც მწყემსები უამინდობისას საქონელს აფარებდნენ. განკაცებული უფლის შობა იქ მყოფ მწყემსებს უფლის ანგელოზებმა ახარეს. პირველად მათ იხილეს მაცხოვარი. უფრო მოგვიანებით ბეთლემში აღმოსავლეთიდან მოგვებიც მივიდნენ, რომლებიც იქ უჩვეულოდ მოკაშკაშე ვარსკვლავმა მიიყვანა. მათ ახალშობილ მაცხოვარს ძღვენი მიართვეს — ოქრო, გუნდრუკი და მური.

„ინტერპრესნიუსი“

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტმა ალექსანდრე ჭიკაიძეს წლის ანგარიში წარუდგინა

ანგარიში 3 ძირითადი მიმართულებით (ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, დონორთა კოორდინაცია და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა) გაწეულ სამუშაოს და მიღწევებს მოიცავდა.

საკითხებს შორის ვიზა ლიბერალიზაციის იყო სამოქმედო გეგმის (VLAP), ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობა, NATO-ს დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში (PARP) თანამშრომლობის არეალების გაფართოება, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში შსს-ს კომპეტენციაში შემავალი საკითხების კოორდინაცია და სხვა.

2014 წლის განმავლობაში დეპარტამენტის ჩართულობით ინიცირებული და მიმდინარე პროექტის რაოდენობა 17-ს შეადგენს.

2010-11 წლებთან შედარებით მოზიდული დაფინანსების საერთო მოცულობა 7-ჯერ და მეტადაა გაზრდილი. პროექტებისა და თანამშრომლობის ფარგლებში 2195 სამართალდამცავი გადამზადდა.

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის მიმართულებით 2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააფორმა 11 ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის და პოლიციის, რეადმისიის, საგანგებო სიტუაციების მართვის და საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის სფეროში თანამშრომლობას მოიცავს.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კოორდინაციით განხორციელდა შს მინისტრის ორმხრივი ვიზიტები დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, აზერბაიჯანში, მოლდოვაში, სომხეთსა და ლატვიაში, ასევე გაიმართა მაღალი თანამდებობის პირთა სამუშაო შეხვედრები ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„პირველი“

მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგები 2016 წლის აპრილში გახდება ცნობილი

„საქსტატის“ დირექტორის, მერი დაუშვილის განცხადებით, არაუგვიანეს 2015 წლის აპრილის ბოლომდე გამოქვეყნდება საყოველთაო აღწერის პირველადი მონაცემები, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების რაოდენობას ეხება: **„პირველადი მონაცემები საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების რაოდენობის შესახებ გამოქვეყნდება 2015 წლის აპრილის ბოლომდე. ეს არის მხოლოდ ის მონაცემები, თუ რამდენი ადამიანი ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე. ყველა ინდიკატორის მიხედვით კი, მონაცემები 2016 წლის აპრილში გამოქვეყნდება. მოსახლეობის რაოდენობასთან ერთად დადგინდება, რამდენი კაცი და ქალი ცხოვრობს ქვეყანაში, როგორია ასაკობრივი ჭრილი, განათლების დონე, შშმ პირთა შესახებ მონაცემები, საცხოვრებელი პირობები, აღმსარებლობა, სოფლის მეურნეობის მონაცემები და ემიგრანტების რაოდენობა“.**

დაუშვილმა ასევე დასძინა, რომ ცხელ ხაზსა და სოციალურ ქსელებში აღმწერების მიმართ იყო პრობლემები: **„ცხელ ხაზსა და სოციალურ ქსელებში გამოითქვა უკმაყოფილება, რომ აღმწერები კითხვის გარეშე წერდნენ აღმსარებლობას. როცა დაფიქსირდა ასეთი პრობლემა, ჩვენ ხელახლა გავგზავნეთ სხვა ინტერვიუერი. თუმცა, ძირეულად როდესაც ვიკვლევდით, განსხვავებული სურათი გვხვდებოდა. გენდერული ფაქტორიდან გამომდინარე, ასევე იყო პრობლემები, რომ აღმწერები კითხულობდნენ ოჯახის უფროსს, რაც ზოგიერთი ოჯახის წევრების გაღიზიანებას იწვევდა. ჩვენი მითითება იყო, ეკითხათ არა ოჯახის უფროსი, არამედ ზრდასრული ადამიანი“.**

მთლიანობაში, საყოველთაო აღწერამ წარმატებით ჩაიარა. დაუშვილის ინფორმაციით, მომდევნო აღწერა 2020 წლიდან 2025 წლამდე პერიოდში ჩატარდება.

„ინტერპრესნიუსი“

ნოდარ ხადური ყველა ბრალდებას პასუხობს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

თუ საქართველოს მთავარი პრობლემა ფინანსთა მინისტრის წონაა, ამ პრობლემას ნოდარ ხადური მალე მოაგვარებს. ადრე უგულავას დიეტა იყო, ახლა აქტუალური ხადურის დიეტაა, რომელსაც ფინანსთა მინისტრი არ გვიმხელს. გაზაფხულიდან დღემდე, 18 კილოგრამი დაიკლო, კიდევ 10-ს რომ დაიკლებს, ამის შემდეგ გვეტყვის, რა დიეტას იცავდა. სოციალურ ქსელში, ხადურის ახალი სურათი გავრცელდა, მინისტრს ხელში ციკანი უჭირავს, მაგრამ ამბობს, რომ ცხოვრებაში ციკნის ხორცი არ გაუსინჯავს და არც უყვარს. განსაკუთრებული საახალწლო ტრადიცია არ აქვს, ნოდარ ხადურს მარტივი სუფრა ექნება, ძირითადად ტკბილეულით სავსე. საახალწლო მენიუდან განსაკუთრებით გოზინაყი უყვარს, რადგან სხვა კერძების მირთმევა, წლის სხვა დროსაც შეიძლებაო. ფინანსთა მინისტრს ოჯახში „დისკრიმინაციული“ და ანტიგენდერული საახალწლო ტრადიცია ჰქონია, რომელსაც შეიძლება, „ქალებზე ძალადობაც“ კი ვუწოდოთ, რადგან მეუღლე და ქალიშვილი, რომლებიც კარგი მეკვლეები ყოფილან, ახალ წელს გარეთ, ეზოში შეხვდებიან და ამის შემდეგ შევლენ სახლში. წელს ფინანსთა მინისტრის მეუღლესა და ქალიშვილს, 2 თვის ლეკვი „ბობოც“ შეუერთდება და ნოდარ ხადურს ნამდვილი „კუჩხი ბედნიერი“ ექნება. 10-15 წუთში, ფინანსთა მინისტრი საბაჟოზე წავა და თანამშრომლებს, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ, ადგილზე მიულოცავს ახალ, 2015 წელს. პირველად თბილისის საბაჟოზე, აეროპორტის თანამშრომლებს მიულოცა 2013 წელი, შარშან — წითელ ხიდსა და სადახლოზე იყო, მაგრამ არ გვიმხელს, წელს რომელ საბაჟოზე გაემგზავრება, რადგან მისი სტუმრობა სიურპრიზი უნდა იყოს.

რა იყო ღარის კურსის ცვლილების რეალური მიზეზი, რას ელის 2015 წელს და რა „დისკრიმინაციული“ საახალწლო ტრადიცია აქვს ფინანსთა მინისტრს ოჯახში

— ბატონო ნოდარ, ოპონენტები გსაყვედურობენ, რომ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში 520 000 000 ლარის გარღვევაა, რატომ?

— არანაირი 520 მილიონიანი გარღვევა ბიუჯეტში არ არის და არც იქნება. უბრალოდ, ჩვენი ოპონენტების სურვილია, ყველაფერი ცუდად იყოს. ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი შესრულდება, მაგრამ რაც შეეხება ხარჯებს, არცერთი დაუფინანსებელი პროექტი არ იქნება. ყველა ხარჯს გავწევთ, გარდა ბუნებრივად წარმოქმნილი ეკონომიებისა, რასაც თავისი დასაბუთება აქვს. ცხადია, როდესაც ტენდერი ცხადდება, ისეთი კომპანია იმარჯვებს, რომელიც შედარებით დაბალი ფასით, ოღონდ იგივე ხარისხით ასრულებს ამა თუ იმ სამუშაოს. წინა წლებისგან განსხვავებით, ორი წელია, ბიუჯეტში ცვლილება არ შეგვაქვს და მიღებულ ბიუჯეტს ვასრულებთ. მაგალითად, 2011 და 2012 წლებში და ადრეც, მხოლოდ კორექტირებული ბიუჯეტები სრულდებოდა და არა თავდაპირველი ვარიანტები. ეს არის რეალობა, რასაც ბევრი ფაქტორი განაპირობებს, მაგრამ ხარჯის გაუწევლობის მიზეზი საქართველოს ბიუჯეტში არც წელს და არც შარშან, სახსრებისა და ფინანსების ნაკლებობა არ ყოფილა. გარდა ამისა, წლევანდელი, 2014 წლის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში 100%-ს გადააჭარბებს, ხარჯი კი 100%-ს მიუახლოვდება. ამიტომ ოპონენტები ნუ ინერვიულებენ, რადგან საზოგადოებას 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ სრულ ინფორმაციას მივაწვდით.

— თუ ასეა, საიდან გაჩნდა ეს 520 მილიონი, რომლითაც 2014 წლის ბიუჯეტი გაირღვა? ამ ციფრს ხომ ვერ გამოიგონებდა ვინმე?

— თქვენმა ერთმა კოლეგამ, ერთ-ერთ ცნობილ გამოცემაში. 10 თვის შედეგების მიხედვით დაწერა, რომ 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების იმედი მოკვდა. იქვე დასძინა, წარმოუდგენელია, ბიუჯეტში 800 მილიონი ლარი შემოვიდესო. ბიუჯეტი თვეში 1/12-ით არ სრულდება, მაშინ საბიუჯეტო პროცესს აზრი არ ექნებოდა. სხვადასხვა თვეში, სხვადასხვა ეკონომიკური აქტივობაა. ვინც საგადასახადო კოდექსში ერკვევა, იცის, რომ გადასახადებს გადახდის სხვადასხვა ვადა აქვს და შესაბამისად, აქტივობაც სხვადასხვაგვარია. მაგალითად, იანვარი ნაკლებად აქტიურია, მარტი — მეტად, ნოემბერი და დეკემბერი კიდევ უფრო მეტად. ბრალს გვდებდნენ, დეკემბერში ბიუჯეტი თანხას ვერ მიიღებსო, არადა სექტემბერში 1 მილიარდი შემოვიდა და დეკემბერში რატომ არ უნდა შემოვიდეს? 26 დეკემბრის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტის შესასრულებლად 65 მილიონი ლარი გვჭირდებოდა, შესრულება კი 89 მილიონი ლარი იყო.

— დავით ბაქრაძემ გისაყვედურათ, როგორ შეიძლება ხელისუფლებამ 520 მილიონი ლარი ვერ დახარჯოს მაშინ, როცა ქვეყანაში სოციალური პრობლემებია მოსაგვარებელი, ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლებოდა პენსია მაინც გაეზარდათო?

— სიმართლე გითხრათ, დავით ბაქრაძის ეს განცხადება გამიკვირდა. მისი პარლამენტის თავმჯდომარეობის საუკეთესო წელთან შედარებით, 2015 წელს, 1 მილიარდი ლარით მეტს დავხარჯავთ მხოლოდ სოციალური მიზნებისთვის და 30 მილიონი ლარით ნაკლებ პრემიას აიღებს საქართველოს მთავრობა! აი, ეს არის პასუხი ბატონი დავითის განცხადებაზე და მას სიტყვის თქმის უფლებაც არ აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ, როცა პარლამენტის თავმჯდომარე იყო, ერთხელ არ გამოსულა და სოციალური თვალსაზრისით, საკითხი არ დაუსვამს. მათი მთავრობის დაპირება იყო 100-დოლარიანი პენსია, რომელიც 2009 წლიდან უნდა მიეღოთ პენსიონერებს. ჩვენ კი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ვთქვით, რომ საარსებო მინიმუმი 150 ლარი იქნებოდა და პენსიაც საარსებო მინიმუმს გავუტოლეთ. გადასახადების შემცირებაზე არასოდეს უფიქრიათ, მაგრამ ჩვენ გვაბრალებენ, გადასახადებს ზრდიანო. საგადასახადო კოდექსში ჩაწერეს, საშემოსავლო გადასახადი 15% იქნებაო, მაგრამ გარდამავალ დებულებაში განმარტეს, რომ მხოლოდ 2015 წლიდან შემოიღებდნენ, რასაც ყოველ წელს გადაავადებდნენ. ჩვენ მოვედით და ვთქვით, რომ ახლა გადასახადების შემცირების რესურსი არ არის, ეკონომიკის ზრდის კვალობაზე, გადასახადების შემცირება დღის წესრიგში დადგება, მაგრამ დღეს არა. ჩვენ ხალხს არ ვატყუებთ! როდესაც დავით ბაქრაძე ამბობს, რომ საქართველოს ეკონომიკა ახლა უფრო ცუდ დღეშია, ვიდრე მათ დროს იყო, ტყუის, როგორც ბოლო 9 წლის მანძილზე ტყუოდა! დღეს, საქართველოს ეკონომიკა, მინიმუმ, 15%-ით მაღალია ნომინალში, ვიდრე მათ საუკეთესო წელს იყო. 2014 წელს, ეკონომიკა 5%-ით, შარშან — 3.2%-ით გაიზარდა, დღეს საქართველოს ეკონომიკა, მინიმუმ 8.2%-ით უკეთესია, ვიდრე მათ დროს იყო. ფასებიც შემცირდა და შევახსენებ ბატონ დავითს, რომელიც ხორცის ფასზე ნერვიულობს, 1 კგ ხორცი 1 ლარით გაძვირდაო, მათ დროს 1 კგ ხორცი 17 ლარი ღირდა, ახლა კი 10-12 ლარია, 1 კგ შაქარი მათ დროს 2.50 ლარი ღირდა, ახლა — 1.35 ლარია, ბენზინი 40 თეთრით გაიაფდა.

ნუ ჰგონიათ, რომ ყველას ყველაფერი დაავიწყდა, რადგან ყველაზე მეტად ვიცი, რომ საზოგადოებას ძალიან უჭირს. ყველას მინდა ვთხოვო, კარგად გაიხსენონ ის პერიოდი, როდესაც თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში. ბოდიშს გიხდით, გავბრაზდი, მაგრამ ხალხს მართლაც ძალიან უჭირს. ვიცი, 150-ლარიანი პენსია ძალიან ცოტაა, ჩემს მშობლებსაც 150-ლარიანი პენსია აქვთ და ისინიც ნერვიულობენ. როდესაც მეუბნებიან, რომ 1 აშშ დოლარი 1.86 ლარი, ან 1.90 ლარია, 2010 და 2011 წლები გაიხსენონ, რამდენი იყო 1 აშშ დოლარი ლართან მიმართებაში. როდესაც ბატონი რომან გოცირიძე გამოდის და ჭკუას მარიგებს, გაიხსენოს, რამდენი იყო 1 აშშ დოლარი კუპონთან მიმართებაში, როდესაც ეკონომიკურ გუნდს ხელმძღვანელობდა და რამდენპროცენტიანი ინფლაცია იყო იმ დროს, როდესაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იყო?

რომან გოცირიძეს, რომელიც უშუალოდ იყო პასუხისმგებელი ინფლაციაზე, ქვეყანაში 14%-იანი ინფლაცია ჰქონდა, ანუ ფასები მაშინ 14%-ით მეტი იყო! აქამდე არასდროს მიხსენებია ბატონი რომანი, მაგრამ ამ ადამიანების პოლიტიკურმა სკლეროზმა უკვე ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა!

— თუ მთავრობის წევრები 30 მილიონი ლარით ნაკლებ პრემიას აიღებენ, რატომ განაცხადა დავით ბაქრაძემ, რომ თქვენი ხელისუფლების პირობებში, მთავრობის ადმინისტრაციული ხარჯი 350 მილიონი ლარით გაიზარდა?

— ამაზეც გიპასუხებთ და სიტყვა-სიტყვით დაწერეთ: ბატონო დავით, 120 მილიონი ლარით გავზარდეთ ჯარისკაცების ხელფასი, თითქმის 100 მილიონი ლარით გავზარდეთ პოლიციელების ხელფასი, გავზარდეთ იმ ადამიანების ხელფასები, რომელთა შრომაზეც დამოკიდებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და შევამცირეთ მინისტრების ხელფასები! ბატონო დავით, თქვენ დროს, ეკონომიკის მინისტრი ხუთჯერ მეტ ხელფასს იღებდა, ვიდრე დღეს იღებს, ფინანსთა მინისტრი სამჯერ მეტს იღებდა, ვიდრე დღეს! ყველაფერს საზღვარი აქვს, რადგან ზუსტად დავით ბაქრაძის მეუღლემ დახარჯა ბიუჯეტიდან 30 000 ლარი ერთ თვეში, მხოლოდ მობილურ ტელეფონზე საუბრისას და რატომღაც, ეს ყველაფერი დაავიწყდათ...

— სხვათა შორის, მობილურ ტელეფონებზეც უნდა მეკითხა, რომლებიც თანამშრომლებს დაურიგეთ...

— მაგაზეც გიპასუხებთ, ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებს მობილური ტელეფონები კანონმდებლობის სრული დაცვით დავურიგე და სწორად მოვიქეცი. შეიძლება, ჩემთვის არ უნდა ამეღო და ალბათ, მორალურად მართალი არ ვიყავი, მაგრამ ბიუჯეტიდან არცერთი თეთრი არ დამიხარჯავს! მინისტრობის ორი წლის განმავლობაში, ბაქრაძის ცოლთან შედარებით, მობილურ ტელეფონზე ხუთჯერ ნაკლები მაქვს ნალაპარაკევი! ამ ხნის მანძილზე, არასოდეს მიფრენია ბიზნესკლასით, მიუხედავად იმისა, რომ მინისტრს ეკუთვნის. ამერიკაში რომ მივფრინავ, ეკონომკლასით ვმგზავრობ, რადგან ვიცი, რა ქვეყანას წარმოვადგენ და რომელი ქვეყნის ფინანსთა მინისტრი ვარ.

— ბატონო ნოდარ, დაუბეგრავი მინიმუმი იმიტომ შემოიღეთ, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ, საშემოსავლო გადასახადის შემცირების პროექტზე უარი თქვით. ახლა დაუბეგრავი მინიმუმი ისე გააუქმეთ, ალტერნატივასაც არ გვთავაზობთ, რატომ?

— გთავაზობთ ალტერნატივას, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ 2014 წელს, დაუბეგრავი მინიმუმის სახით, თითქმის 130 000 000 ლარი დავაბრუნეთ. 2015 წლის აპრილსა და მაისში, დაახლოებით, 140 000 000 ლარს დავაბრუნებთ, ანუ მომავალ წელს, ჩვენი თანამემამულეები დაუბეგრავ მინიმუმს აიღებენ. 2016 წლიდან, როდესაც დაუბეგრავი მინიმუმი გაუქმდება, გამოთავისუფლებულ თანხას, მხოლოდ სოციალური მიზნებისთვის მივმართავთ. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, პედაგოგების ხელფასები გავზარდეთ, მომავალ წელს, პედაგოგებს 50 ლარით კიდევ გავუზრდით ანაზღაურებას. სოციალური დახმარებები ყველასთვის გავაორმაგეთ, პენსიები და ლტოლვითა შემწეობები გავზარდეთ. გარდა ამისა, გავზარდეთ ვეტერანთა დახმარებებიც და მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, არავის რომ არ გახსენებია ომში დაღუპულები, მომავალი წლიდან, თითოეული დაღუპულის ოჯახი, ყოველთვიურად 1 000 ლარს მიიღებს. გარდა ამისა, ყველა დაზღვეულია, ექიმთან მისასვლელად, ადამიანებს სახლების გაყიდვა და იპოთეკით დატვირთვა, ასევე მარჩენალი ძროხების გაყიდვა აღარ უწევთ. ვიცით, რომ ეს საკმარისი არ არის, უფრო მეტია საჭირო და ამიტომ გვინდა, რომ არსებული რესურსი უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ.

დასასრული მე-4 გვერდზე

ნოდარ ხადური ყველა ბრალდებას პასუხობს

მე-3 გვერდიდან

ორი წლის განმავლობაში, დაუბეგრავმა მინიმუმმა თავისი როლი შეასრულა — ადამიანებს ერთჯერადად, მაქსიმუმ 360 ლარი მივეცით, მაგრამ ახლა ვპირდებით, ამ თანხას უფრო ეფექტურად გამოვიყენებთ. გამოთავისუფლებული 140 მილიონი ლარი ისევ სოციალური მიზნების მოსაგვარებლად, საავადმყოფოებისა და სკოლების შესაკეთებლად, მასწავლებლების ხელფასების გასაზრდელად გვჭირდება, რათა ქვეყანაში ჯანსაღი ეკონომიკური პროცესები წავახალისოთ.

— როდესაც ქვეყანას ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ჰყავს, ლარის კურსის ცვლილებაზე კომენტარს ფინანსთა მინისტრი არ უნდა აკეთებდეს, მაგრამ პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ამ საკითხზე ნოდარ ხადურს პასუხის გაცემა მაინც მოუწევსო. ამიტომ გეკითხებით, რატომ გაუფასურდა ეროვნული ვალუტა?

— გმადლობ, კითხვის ასეთი ფორმით დასმისთვის. ვეცდები, როგორც ეკონომისტმა, ისე გიპასუხოთ. ლარის კურსზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის, საშინაო, საგარეო, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური. საშინაო და ეკონომიკურ ფაქტორებს რაც შეეხება, არც ეროვნულ ბანკს და არც ფინანსთა სამინისტროს, არცერთი ღონისძიება არ გაუტარებია, რაც კურსის გაუფასურებას წაახალისებდა და ამას სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით. თავისთავად ცხადია, რომ კურსზე გავლენა საგარეო ფაქტორებმა იქონია, რადგან ლარის კურსი დამოკიდებულია მიმოქცევაში არსებული ლარისა და საქართველოში არსებული დოლარის რაოდენობაზე. მათ შორის წონასწორობა უნდა იყოს დაცული. თუ კურსი იცვლება, მიზეზი ის არის, რომ დოლარის რაოდენობა მცირდება. დოლარის რაოდენობა დამოკიდებულია იმპორტ-ექსპორტზე, ინვესტიციებსა და რემიტენსებზე ანუ ჩვენი თანამემამულეების მიერ საზღვარგარეთიდან გადმორიცხულ თანხებზე. იმ პერიოდში, იმპორტი ძალიან არ გაზრდილა, ექსპორტი წლის განმავლობაში კი გაიზარდა, მაგრამ ნოემბერში ჩავარდნა გვქონდა. რემიტენსებში გვაქვს პრობლემები, რადგან მათი დიდი ნაწილი რუსეთიდან, საბერძნეთიდან და უკრაინიდან ირიცხება. კარგად იცით, რა რთული ეკონომიკური ვითარებაა სამივე ქვეყანაში. ნოემბერში, საქართველოში ტურიზმის სეზონი შედარებით მკვდარია და რჩება ფსიქოლოგიური, ანუ მოლოდინის ფაქტორი, რომელიც დამოკიდებულია ცნობილი, ან ცნობადი ადამიანების გამონათქვამებზე. როცა ცნობადი პირი, აპრილში ან მაისში აცხადებს, რომ დეკემბერში კურსი გაუარესდება, ამით საზოგადოებას უარყოფით მოლოდინს უჩენს. ამის შემდეგ, ლარის კურსის თუნდაც ერთი პუნქტით გაუარესებას, აჟიოტაჟი მოჰყვება. შესაბამისად, ლარის კურსის ვარდნის ერთ-ერთი, სერიოზული მიზეზი ესეც იყო — ფსიქოლოგიური მოლოდინის ფაქტორით გამოწვეული აჟიოტაჟი. არადა, კურსის ვარდნის ეკონომიკური საფუძველი არ არსებობს. ახლა შევხედოთ, რა მოსდის გაცვლით კურსს ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, რუსეთში, უკრაინასა და თურქეთში, ეროვნული ვალუტა უარესდება, მეზობელ აზერბაიჯანშიც ანალოგიური მდგომარეობაა, რადგან ნავთობის ფასის შემცირების გამო, მათ ეროვნულ ვალუტასაც პრობლემები ექმნება. ბოლოს და ბოლოს, ევროსა და დოლარს შორის იცვლება კურსი და ცხადია, ეს ჯანსაღი ეკონომიკური პროცესია, მაგრამ უპასუხისმგებლო განცხადებებით, ცეცხლზე ნავთი არ უნდა დავასხათ. პოლიტიკურად ანგაჟირებულმა ადამიანებმა, რომლებიც საკუთარ თავს ექსპერტებს უწოდებენ, პროცესი ხელოვნურად გააღვივეს და მიზანმიმართული აჟიოტაჟი შექმნეს. აჟიოტაჟის საფუძველი არ არსებობს, კურსი სტაბილურდება და იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

— მნიშვნელობა არ აქვს, საქართველოში უფასურდება ეროვნული ვალუტა, თუ კამბოჯაში, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში, ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც გაუფასურებული კურსი უნდა გაამყაროს, უცხოური ინვესტიციებია. ირაკლი ღარიბაშვილმა აზერბაიჯანიდან შემოსული საკმაოდ დიდი რაოდენობის ინვესტიცია ახსენა. თუ ქვეყანაში ამ რაოდენობის ინვესტიცია შემოვიდა, ლარი რატომ გაუფასურდა?

— ინვესტიცია მხოლოდ დოლარი არ არის, საინვესტიციო საქონელიც ინვესტიციაა. პირობითად ვამბობ, გაზსადენის ან ნავთობსადენისთვის საჭირო მილები და სამშენებლო მასალებიც ინვესტიციაა. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ჩვენთან ინვესტიცია ფულით კი არა, საქონლის სახით შემოდის. რეალურად, დღეს რომ ვიღაცამ 10 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა, ეს ნიშნავს, რომ საინვესტიციო საქონელი შემოიტანა და პატარა, გადამამუშავებელი ქარხანა ააშენა. დოლარით ინვესტორს ამ ბაზარზე მხოლოდ შენობა-ნაგებობის შეძენა შეუძლია, ჩვენ ჩარხებსა და დანადგარებს არ ვაწარმოებთ და მათ შესაძენად, ეს დოლარი ისევ გარეთ გადის.

— შეიძლება, ვცდები, მაგრამ მეტისმეტად ევროპული რეგულაცია მგონია, როდესაც ქვეყანაში თამბაქო და ალკოჰოლური სასმელი ძვირდება, რადგან ეს ერთგვარი პრევენციაა — თამბაქო და სასმელი მოზარდებისთვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. არ მესმის, რატომ ატყდა ამხელა აჟიოტაჟი აქციზის გადასახადის ზრდის გამო?

— ნაციონალები ამბობენ, აქციზის გადასახადი არ უნდა გაიზარდოს, მაგრამ თვითონვე, საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერეს, რომ აქციზის გადასახადის გარდა, საქართველოში გადასახადის ზრდა არ შეიძლება. ეს რას ნიშნავს, თუ არ უნდა გაზრდილიყო, მაშინ კონსტიტუციაში რატომ ჩაწერეს? აქციზის გადასახადი უნდა გაზრდილიყო და ამის ვალდებულება ევროკავშირთან გვაქვს! ის, რაც ევროპული მიდგომა გგონიათ, სინამდვილეში, მართლაც ევროპულია. აქციზის გადასახადს ორი დატვირთვა აქვს, ფისკალური, ანუ ბიუჯეტში ფული უნდა შემოვიდეს და მარეგულირებელი, ანუ ადამიანები მავნე ჩვევებისგან უნდა გათავისუფლდნენ. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ თუ მწეველ ადამიანს სიგარეტს 15 თეთრით გაუძვირებ, გადაეჩვევა და აღარ მოწევს. თამბაქოს აქციზი 15 თეთრით გაიზრდება, ალკოჰოლური სასმელის აქციზი ორმაგდება, ლუდის გარდა ლუდის აქციზი კი 50%-ით გაიზრდება. ყველაფერი შეიძლება დამაბრალოთ დედამიწის ზურგზე, მაგრამ ბიზნესთან კომუნიკაცია არ გაქვსო, ვერ მეტყვით. 2014 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, ლუდის მწარმოებლებს ხუთჯერ შევხვდი. კომუნიკაცია გვაქვს, მაგრამ მწარმოებლებსა და იმპორტიორებს არ მოსწონთ, რომ გადასახადი იზრდება. მაგალითად, თამბაქოს ადგილობრივი მწარმოებლები გვეუბნებიან, აქციზის გადასახადი 15 თეთრით კი არა, 5%-ით გაზარდეთო. პირობითად, თუ სიგარეტი 1 ლარი ღირს, 1.05 ლარით, ხოლო 5-ლარიანი — 5.25 ლარით გაძვირდება. იმპორტიორები გვეუბნებიან, რომ ყველაფერი 20 თეთრით გააძვიროთო. რაც შეეხება ლუდის აქციზს, როდესაც ვნახეთ, რომ ისედაც მაღალი გადასახადი იყო, 100%-ით კი არა, მხოლოდ 50%-ით ვაძვირებთ, მაგრამ ახლა ამბობენ, აქციზის გადასახადის გასაზრდელად, არაგონივრულ ვადას გვთავაზობენო. 2014 წლის ოქტომბერში იცოდნენ, რომ აქციზი გაიზრდებოდა და ეს რეგულაცია 2015 წლის მარტში ამოქმედდებოდა. კომპანიებს 5 თვე აქვთ და რატომაა ეს არაგონივრული ვადა, არ მესმის! ალკოჰოლზე არ ვიცი, მაგრამ თამბაქოს რაც შეეხება, მინდა ყველა გავაფრთხილო, რომ აქციზის გადასახადი მომავალშიც გაიზრდება.

— რამდენიმე საათში ახალი, 2015 წელი დადგება, რას ეტყვით მათ, ვისაც მატერიალურად ძალიან უჭირს და ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ესმით, რომ ქვეყანაში ეკონომიკა იზრდება, ხოლო თქვენი ოპონენტებისგან საწინააღმდეგოს ისმენენ?

— შეიძლება, ფანჯარასთან გამომყვეთ? აგერ, სამინისტროსთან, მშენებარე შენობებს ხომ ხედავთ? ორი წლის წინ, როდესაც ფინანსთა მინისტრად დავინიშნე, ერთი სართულიც კი არ იყო აშენებული. ახლა, ხედავთ, როგორ გამოცოცხლდა მშენებლობა? არ ვამბობ, ქვეყანაში საუკეთესო ეკონომიკური მდგომარეობაა, მაგრამ უკეთესი ვითარება რომ არის, აშკარაა. ყოველ დღე, სამსახურში გლდანიდან დავდივარ და გზაზე უამრავ, ახალ მშენებლობას ვხედავ. სოფლის მეურნეობაც გამოცოცხლდა, კახელმა გლეხებმა საუკეთესო მოსავალი მიიღეს, ქვეყანა ნელა, მაგრამ სტაბილურად ვითარდება. რეგიონში არსებული ვითარების მიუხედავად, მეტ წარმატებას მივაღწევთ ეკონომიკაში. ნაცვლად იმისა, რომ ბათუმში ანბანის ახალი კოშკი — „ბათუმი თაუერი“ ავაშენოთ, ვცდილობთ, ნაპირსამაგრი სამუშაოები განვახორციელოთ, რათა მთელი ადლია წყალმა არ წაიღოს; ნაცვლად იმისა, რომ პრეზიდენტის სასახლე ავაშენოთ, ლტოლვილების სახლებს ვაშენებთ ჩვენივე ფულით, რომელიც არავის უჩუქებია; ნაცვლად იმისა, რომ ბიზნესს 5-ადგილიანი საავადმყოფოების მშენებლობა „შევაწეროთ“, თვითონ ვაშენებთ საავადმყოფოებს. უმუშევრობა იზრდებაო და წელს, მესამე კვარტალში, კერძო სექტორში დასაქმებული პირების რაოდენობის მხრივ, ისტორიული მაქსიმუმი დაფიქსირდა — სოფლის მეურნეობაში 520 000 კაცი დასაქმდა.

„შეიძლება, ტელეფონი ჩემთვის არ უნდა ამეღო და ალბათ, მორალურად მართალი არ ვიყავი, მაგრამ ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ დამიხარჯავს!“

დღეს საქართველოში უმუშევრობა 13.5%-ია, ხელისუფლებაში რომ მოვედით, 15% იყო. ვინ დამაჯერებს, რომ 15% ნაკლებია 13.5%-ზე? პრობლემებს ვხედავ, მაგრამ მინდა, რომ იმედიანად ვიყოთ, რადგან ეკონომიკაში მოლოდინის თეორია ძალიან მნიშვნელოვანია. რასაც ველოდებით, ის აუცილებლად იქნება. თუ ცუდს ველით, მერწმუნეთ, ყველაფერი ცუდად იქნება. 2015 წელს მხოლოდ კარგ და პოზიტიურ ძვრებს ველი. მარტივ მაგალითს გეტყვით, წარმოიდგინეთ, რომელიმე ცნობილი პირი რომ გამოვიდეს ტელევიზიით და ყველაზე უმნიშვნელო პროდუქტზე თქვას, ხვალიდან აღარ გაიყიდება მაღაზიაშიო... არც კი ვიცი, რა შეიძლება ასეთი უმნიშვნელო იყოს...

— ზღმარტლი, ბატონო ნოდარ.

— დავუშვათ, გამოაცხადეს, რომ ხვალიდან ზღმარტლი აღარ გაიყიდება. იცით, რა მოხდება? დღეს ყველა გაიქცევა, იყიდის ზღმარტლს და ხვალ მაღაზიებში მართლა აღარ იქნება ზღმარტლი. ამიტომ უნდა შევქმნათ მოლოდინი, რომ ყველა სახის პროდუქტი იქნება, მათ შორის, ზღმარტლიც, მაგრამ თუ არ გჭირდებათ, არ იყიდოთ, რაც გჭირდებათ, მხოლოდ ის იყიდეთ. ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტები — შაქარი, ზეთი, პური, ხორცი, ბენზინი გაიაფდა, ჯანდაცვა გაიაფდა და ხელმისაწვდომი გახდა. რაც შეეხება განათლებას, წიგნებს ბავშვები უფასოდ იღებენ, სოფლებში მოსწავლეები ავტობუსებით დადიან სკოლებში და ათობით კილომეტრის ფეხით გავლა აღარ უწევთ, უამრავ სკოლას ვარემონტებთ და ის სკოლებიც კი, რომლებიც გარემონტებული დაგვხვდა, აღმოჩნდა, რომ თურმე ბიძინა ივანიშვილს გაურემონტებია.

ვერსიანიუსი

წიწამურში ილია ჭავჭავაძის რეაბილიტირებული ძეგლი გაიხსნა

ილია ჭავჭავაძის ძეგლის რეაბილიტაცია საქართველოს მთავრობის დავალებით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.

რეაბილიტირებული ძეგლი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოდგილემ გიორგი ამაშუკელმა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა, ნუგზარ ყიფიანმა და ძეგლის ავტორმა თეიმურაზ ბოჭორიშვილმა, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორ ანდრო ბედუკაძესა და სამედიცინო უნივერსიტეტისა და თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად გახსნეს, რომლებსაც, სიმბოლურად, ილია ჭაჭავაძის პერსონაჟების კოსტიუმები ეცვათ.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა კვარცხლბეკს, მოხდა მისასვლელი კიბის რეკონსტრუქცია, გაკეთდა ამფითეატრი, გარეგანათება და კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორია.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა, 544997,95 ლარით. მთავრობისთვის ილია ჭავჭავაძის ძეგლის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად განხორციელება პრიორიტეტული საკითხი იყო, სწორედ ამიტომ პროექტი 4 თვეში ყველა პარამეტრის სრული დაცვით განხორციელდა. ძეგლის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს მცხეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი, საზოგადოებრივი და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ილია ჭავჭავაძის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი ძეგლის თავდაპირველმა ავტორმა, არქიტექტორმა თეიმურაზ ბოჭორიშვილმა შეიმუშავა.

ფონდის დაკვეთით საპროექტო კომპანიამ ილია ჭავჭავაძის ძეგლის რეაბილიტაციისთვის საჭირო პროექტი ორ თვეში შეიმუშავა. პროექტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით განახორციელა.

„პირველი“

„პუტინმა პირდაპირ თბილისი უნდა დაბომბოს!“ — „მეხუთე კოლონის“ საიდუმლო სერობა

იგორ გიორგაძე

მართალია, ლუსტრაციის კანონი არ გვაქვს, მაგრამ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ადამიანებს თვითლუსტრაცია ყველაზე კარგად გამოსდით. ეს სიტყვები პათეტიკად რომ არავინ ჩათვალოს, როგორც იტყვიან, ფაქტებით ვიმსჯელოთ. მაშ ასე, ფაქტი პირველი: რამდენიმე დღის წინ, საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, რომელსაც, სხვადასხვა დროს, პრეზიდენტის პოსტი 45-45 დღით ეკავა, ღიად და დაუფარავად განაცხადა, რომ პუტინი საქართველოს მტერი არ არის. ნინო ბურჯანაძისგან მსგავსი შეფასება, პრინციპში, არც უნდა გაგკვირვებოდა, რადგან ოკუპანტი ქვეყნის მმართველს, 2008 წლის სისხლიანი აგვისტოს მერე, „ზამთრის სასახლეში“, კრემლში ეახლა. ისე, სამართლიანობისთვის, ისიც უნდა ვთქვათ, რომ პუტინის მიმართ „ნაზი გრძნობები“ თავის დროზე ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც ჰქონდა — 2004 წლის თებერვალში, ინაუგურაციის შემდეგ, მიხეილი პირველი ოფიციალური ვიზიტით სწორედ ჩრდილოეთში გაემგზავრა და იქ, როგორც ამბობენ, ოფიციალურის გარდა, არაოფიციალური შეხვედრებიც გამართა. მოგვიანებით კი, კერძოდ, 2004 წლის გაზაფხულზე, ერთ-ერთ რუსულ გამოცემასთან საუბრისას, სააკაშვილმა აღნიშნა, პუტინს პატიოსანი თვალები აქვსო.

საერთოდ, ქართულ პოლიტიკაში, ალბათ, იშვიათია პერსონა, რომელსაც რუსული ბეგრაუნდი არ აქვს. „ვერსიის“ ერთ-ერთი წყარო 2007 წლის 7 ნოემბრის შემდგომ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების პერიოდს იხსენებს და ამბობს, რომ საკუთარი თვალით ჰყავს ნანახი, მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში, რუსეთის ერთ-ერთ გავლენიან მაღალჩინოსანს ქართველი პოლიტიკოსები ერთგულებას როგორ ეფიცებოდნენ და სანაცვლოდ, გარკვეულ თანხას ითხოვდნენ.

ერთი სიტყვით, ფული მხოლოდ ჯოჯოხეთს კი არა, პოლიტიკასაც ანათებს და ეს გასაკვირიც არ არის, რადგან პოლიტიკა ამქვეყნიური ჯოჯოხეთია!

რატომ ცდილობს კრემლი ჩვენი პოლიტელიტის მოსყიდვას, ადვილი მისახვედრია — საქართველო კავკასიის აორტაა და თუ გინდა, ეს რეგიონი აკონტროლო, შესაბამისად, საქართველო უნდა დაიმონო. ვიღაცები ამტკიცებენ, რომ ევროპა და აშშ-ც ამ პრინციპით მოქმედებენ და ამიტომ, ჩვენში მხოლოდ რუსული კი არა, დასავლური „მეხუთე კოლონაც“ არსებობს. შესაძლოა, არც უამისობაა, მაგრამ აქ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსია: ევროპას, გნებავთ, აშშ-ს საქართველოში „მეხუთე კოლონა“ ვერ ეყოლება, რამეთუ დასავლეთი ჩვენი ტერიტორიების მიტაცებით არ არის დაინტერესებული. აი, კრემლი კი, ყველაფერს აკეთებს, საქართველო, როგორც სახელმწიფო, დააჟუცმაცოს და ამით გვაიძულოს, მოდერნიზებული საბჭოთა ანუ ევრაზიული კავშირის წევრი გავხდეთ.

რიტორიკა იქით იყოს და, ისტორია ამჯერადაც მეორდება: პუტინის დამპყრობლური ვნებების მთავარი აქტიორები ისევ ქართველები არიან. რაღა შორს წავიდეთ, აი, მაგალითად, ვინმე მიხეილ ხუბუტია, რომელიც რუსეთში ქართველთა კავშირს ხელმძღვანელობს, თავმომწონედ აცხადებს, რომ პუტინი უყვარს... ნოდარ დუმბაძისა არ იყოს, სიყვარულს რას გავუგებთ, მაგრამ ბოლო დროს ხუბუტია თვალშისაცემად გააქტიურდა და შედეგმაც არ დააყოვნა — რამდენიმე კვირის წინ, ერთ-ერთ ქართულ რესტორანში იმისთვის გაასილაქეს, რომ პუტინის სადღეგრძელოს სვამდა.

„ვერსიის“ წყაროები არ გამორიცხავენ, რომ ეს ცემა ერთგვარი პიარ-ტრიუკი იყო.

„შემიძლია, დანამდვილებით გითხრათ, რომ ქართული პოლიტიკის რუსულ ფლანგზე სრული პანიკაა. ხუბუტიაც საქართველოში სპეცდავალებით ჩამოვიდა და, როგორც ვიცი, სოლიდური ფულიც ჩამოიტანა. კრემლში იმედი ჰქონდათ, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე სერგო ორჯონიკიძეები პუტინს არწმუნებდნენ, ქართველ ხალხს რუსეთი უწინდებურად უყვარს და ევროკავშირთან ხელშეკრულების რატიფიცირებას მთელი ერი ქუჩაში გამოსვლით გააპროტესტებსო, მაგრამ ასე არ მოხდა, რის გამოც აგვისტოს ომის „შემოქმედმა“ წონასწორობა დაკარგა და ქართველ მსტოვრებს სიტუაციის დალაგების დავალება მისცა. „სიტუაციის დალაგება“ კი პუტინის ენაზე იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებაში პრორუსული განწყობა ამაღლდეს. სწორედ ამიტომ, ბოლო დროს ჩრდილოეთიდან უბრალოდ დიდი კი არა, ძალიან დიდი ფული შემოვიდა. ეს თანხა, როგორც ვიცი, ძირითადად მედიაზე უნდა დაიხარჯოს“, — ამბობს „ვერსიის“ წყარო და ყურადღებას ახლახან გავრცელებულ ინფორმაციაზეც ამახვილებს, რომლის მიხედვითაც, ახალი წლიდან საქართველოში მაუწყებლობას ახალი ტელევიზია თV8 დაიწყებს, რომლის უკანაც, მოარული ხმების მიხედვით, სწორედ ხუბუტია დგას. ამასთან, „ვერსიისთვის“ კულუარებიდანვე ცნობილი ხდება, რომ ახალ არხზე შესაძლოა, ისეთი ცნობილი სახეები ვიხილოთ, როგორიც, მაგალითად, ნანი ბრეგვაძეა. წყაროს თქმით, ახალი მედიასაშუალებები რუსულ პროპაგანდას ღიად არ გაშლიან და ე.წ. მეხუთე კადრის ეფექტით იმუშავებენ, ანუ ადამიანებს „დიად საბჭოეთსა“ და იმ დროს, როცა მოსკოვში „37 მანეთად“ დავფრინავდით, არაპირდაპირ შეახსენებენ და აიძულებენ, ხელისუფლებას ევრაზიულ კავშირში შესვლა მოსთხოვონ.

„კრემლისთვის 2015 წელი გადამწყვეტია, რადგან პუტინმა, თავის დროზე, დააანონსა, რომ ევრაზიული კავშირი ოფიციალურად სწორედ ამ წელს უნდა გაფორმდეს. სომხეთის ბედი გადაწყვეტილია — ამ კავშირის წევრი გახდება. პუტინს ალიევზე ზემოქმედება გაუჭირდება, რადგან ბაქოს საკუთარი ნავთობი აქვს და პუტინის ულტიმატუმები დიდად არ ანაღვლებს. აი, საქართველოში კი, ბოლო დროს განწყობა შეცვლილია — მართალია, იმის უამრავი ნიშანი არსებობს, რომ სააკაშვილის გარემოცვის ერთი ნაწილი ჩრდილოეთიდან იმართებოდა, მაგრამ ხელისუფლებაში ისევ მიშა რომ ყოფილიყო, „ფასადური წინააღმდეგობა“ გაგრძელდებოდა და ევრაზიულ კავშირში არ შევიდოდით. არ ვამბობ, რომ ახლა შევალთ, მაგრამ ვითარება მყიფეა, თან ზემოხსენებული სცენარის გარდა, კიდევ ერთი გეგმა არსებობს,“ — ეუბნება „ვერსიას“ კარგად ინფორმირებული წყარო.

ახალი წლის დღეებში, „ვერსიის“ ინკოგნიტო რესპონდენტის ნაამბობის გასაჯაროება, შესაძლოა, არაერთიკურია, მაგრამ საფრთხე, წყაროს თქმით, რეალურია.

„ამ თემაზე ლაპარაკი არ მინდოდა, რადგან პირველი ინფორმაცია რომ მივიღე, ვიფიქრე, ფანტაზიაა-მეთქი, მაგრამ მერე, იგივე ცნობა სხვა არხებმაც მომაწოდეს და დავრწმუნდი, რომ „მეხუთე კოლონას“ არ სძინავს. რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთი პოლიტიკური დაჯგუფების ჰედ-ოფისში საიდუმლო შეხვედრა გაიმართა. ამ „საიდუმლო სერობის“ მონაწილეთა ვინაობა ვიცი, მაგრამ, ჯერჯერობით, არ გავასაჯაროებ. შეხვედრის დღის წესრიგში მხოლოდ ერთი თემა იყო — რუსეთის ჯარების საქართველოში შემოყვანა. ერთ-ერთმა „შეთქმულმა“ ღიად თქვა, რომ „ოცნების“ ხელისუფლება ნაციონალების კურსს აგრძელებს, ანუ დასავლეთისკენ მიილტვის, რაც დაუშვებელია, ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ პუტინმა საქართველოში საკუთარი „მგლები“ გამოუშვას. ამავე შეხვედრაზე ისიც დაკონკრეტდა, რომ შეტევა პირდაპირ თბილისზე უნდა განხორციელდეს. სერობაზე ასეთი ფრაზაც კი ითქვა: „პუტინმა პირდაპირ თბილისი უნდა დაბომბოს!“ — ამბობს წყარო.

„ვერსია“ წყაროს ნათქვამის გადამოწმებას შეეცადა, თუმცა გაირკვა, რომ ქართული „მეხუთე კოლონა“ ერთიანი არაა, ანუ სხვადასხვა ცნობილი რუსეთუმეები ერთმანეთს არამცთუ ვერ იტანენ, ერთმანეთთან კავშირიც არ აქვთ და ყველა მათგანი პუტინზე ან პუტინის გარემოცვაზე დამოუკიდებლადაა გასული.

„ვერსიამ“ ისიც გაარკვია, რომ ბოლო დროს კრემლი ცნობილ მერუსეთუმე ორჯონიკიძეებს აღარ ენდობა და საქართველოში ახალ დასაყრდენს ეძებს. ასე, მაგალითად, ექსკლუზიური ინფორმაციით, მალე, შესაძლოა, ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია შეიქმნას, რომლის უკანაც, სავარაუდოდ, იგორ გიორგაძე იდგება. სხვათა შორის, თუ ეს ინფორმაცია მართალია, მაშინ გამოდის, რომ გიორგაძე ერთ მდინარეში შესვლას მეორედ ცდილობს — თავის დროზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ანტისოროსი“ ჰქონდა, რომელმაც მოღვაწეობა სრული ფიასკოთი დაამთავრა. ისე, რუსმა გენერალმა უნდა იცოდეს, რომ ერთ მდინარეში მეორედ შესვლა, პრაქტიკულად, ხარაკირის ტოლფასია.

კულუარული ცნობითვე, გიორგაძე კრემლთან კავშირს უცხოეთში მცხოვრები რუსების დახმარებით ამყარებს.

„ხუბუტიასა და სხვებისგან განსხვავებით, გიორგაძე მაინც „დონეა“ და, ჩემი ინფორმაციით, მას ჯოკერის ფუნქცია აქვს, რომელსაც კრემლი იმ შემთხვევაში აამუშავებს, თუ დაინახავს, რომ წვრილფეხობამ დავალება ვერ შეასრულა, თუმცა მეეჭვება, რომ იგორამ მიზანს მიაღწიოს. კი ბატონო, მისი ხალხი ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა და ოფიციალურ სტრუქტურებშიც გამოჩნდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რუსული გეგმა ამჯერადაც ჩაფლავდება. ზოგი ამბობს, უკრაინის მერე მოსკოვი იერიშს საქართველოზე მოიტანს და პუტინიც იმუქრება, რომ კრიზისის დასაძლევად 2008 წლის მოვლენებს გაიმეორებს, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ რიტორიკა მგონია, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა რუსეთში ხალხი პანიკაშია — იმპერიაში შიმშილის აჩრდილი დაძრწის და ხალხს დამპყრობლური ომები, მაპატიეთ და, სულ ფეხზე ჰკიდია“, — ამბობს „ვერსიის“ წყარო.

ასეა თუ ისე, ქართული „მეხუთე კოლონა“ თავისას ცდილობს, მაგრამ მოგეხსენებათ, მიზანი საშუალებას ყოველთვის არ ამართლებს...

ვერსიანიუსი

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები შშმ ბავშვთა სახლს ეწვივნენ

შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით დაწყებული საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ვასილ ბახტურიძესთან ერთად, ადამიანით ვაჭრობის, ტრეფიკინგით დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფილიალის კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლს ეწვივნენ და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, შშმ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს საჭირო ავეჯი და ტექნიკა გადასცეს.

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები აღნიშნულ ბავშვთა სახლს სხვადასხვა სახის დახმარებას სისტემატურად უწევენ.

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა შსს-ს თანამშრომელი დააკავეს

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა საქართველოს მოქალაქე პაატა თოდუა დააკავეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის, შალვა ენუქიძის განცხადებით, დაკავებული შსს-ს თანამშრომელია: **„შემთხვევა ორი დღის წინ, ე.წ. საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. შსს-ს თანამშრომელი, რომელიც უწყებაში კამაზის მძღოლად მუშაობს, აფხაზეთის ე.წ. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა დააკავეს. საქმე ის არის, რომ დაკავებული წარმოშობით ოჩამჩირედანაა, მამამისი ახლაც იქ ცხოვრობს და სწორედ მასთან შესახვედრად მიდიოდა, რათა საახალწლო ნობათი გადაეცა. დაკავება ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით მოხდა“.** შალვა ენუქიძისვე განმარტებით, მომხდართან დაკავშირებით უკვე ამოქმედებულია ცხელი ხაზი და ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია: **„აფხაზეთის მხარემ დაგვიდასტურა აღნიშნული პირის დაკავება. ახლა ველოდებით ინფორმაციას მისი ზუსტი ადგილსამყოფელისა და გათავისუფლების თარიღის შესახებ“.** პაატა თოდუა ოკუპანტებმა ენგურის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

„ვერსიანიუსი“

საშვიდნოემბრო პრემია გიგაურსაც აუღია

გიორგი იაშვილი

2007 წლის 7 ნოემბერს ქართველი ერი კარგა ხანს ვერ დაივიწყებს. პრინციპში, რაღა კარგა ხანს, ქართველი დემონსტრანტების ასე გამეტება 9 აპრილის შემდეგ პირველი იყო და, თუ მაშინ რუსის ჯარი გვარბევდა, ამჯერად, ქართველებზე ქართველებმა იზეიმეს „გამარჯვება“. დღემდე არკვევენ, ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან, ვინ ვისთან და რატომ იყო, ვინ გასცა ბრძანება, ვინ მონაწილეობდა დარბევაში და ხშირად ისე გამოდის, ამ საქმის უშუალო მონაწილეები ხელს სხვისკენ იშვერენ და ამბობენ, რომ მაშინაც კი ამტყუნებდნენ ხელისუფლების ქმედებას. არადა, ამ დარბევის (სანიმუშო დარბევის) გამო, ხელისუფლებამ მაშინ პრემიებიც კი გამოწერა. პრემიების თემა ცალკე აგორდა, თუმცა პრემიის მიმღებებს ხმა არ გაუღიათ და ქართული სისხლის საფასური დედის რძესავით შეირგეს.

მას შემდეგ აგერ უკვე შვიდი წელი გავიდა და იმჟამინდელი ხელისუფლებიდან თანამდებობაზე თითქმის არავინ არის. ნაწილი ჩრდილში დგას, ნაწილი ხელისუფლებაში ყოფნის დროს გაკეთებულ ბიზნესს ავითარებს, ყველაზე დიდი ნაწილი კი არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური კრიტიკული განცხადებებით ხშირად გამოდის და იმასაც ხშირად ამტკიცებს, რომ მისი არასამთავრობო ორგანიზაცია ერთ-ერთია იმ იშვიათთაგან, რომელიც მიუკერძოებელია და არავის ინტერესს ატარებს. მართალია, ამის დაჯერება ცოტა რთულია, მაგრამ საქმე ახლა არა მისი განცხადებები, არამედ 2007 წელი და 7 ნოემბერია. იმ დროს ქალბატონი ეკა შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორად მუშაობდა. რბილად რომ ვთქვათ, ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა ეკავა და შესაბამისად, იმის თქმა, რომ 7 ნოემბრის თემაზე აზრზე არ იყო, არ გამოვა. არც იმის თქმა გამოვა, რომ გიგაურმა არ იცოდა, 7 ნოემბრის სისხლიანი კალოს შემდეგ, მას პრემია რომ გამოუწერეს და ისიც კარგად ეცოდინებოდა, ამ პრემიის მიღების შემდეგ, ივანე მერაბიშვილმა ვადაზე ადრე რომ მიანიჭა სპეციალური წოდება — სასაზღვრო პოლიციის კაპიტანი.

რა გამოდის?! მაშინ, როცა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ამ საკითხს ედავებიან და საშვიდნოემბრო პრემიებს უხსენებენ, გიგაური ჩუმად ზის, ხმას არ იღებს და არ ამხელს, რომ პრემიაც მიიღო და სამსახურეობრივი წინსვლაც. ახლა ის არის საინტერესო, რის სანაცვლოდ მიიღო ეს ქალბატონმა ეკამ და რა დოზით იყო ჩართული 7 ნოემბრის მოვლენებში. ტყუილად ვანო მერაბიშვილის ხელმოწერილი დოკუმენტი რომ არ შედგებოდა, ესეც ფაქტია და იმედია, ახლა ქალბატონი ეკა თავად ახსნის, რის გამო გამოიჩინეს ასეთი გულუხვობა მაშინ მის მიმართ. მართალია, მის ახსნილს უკვე ნაკლებად დაიჯერებენ, მაგრამ მისი მოსაზრება მაინც ძალიან საინტერესო უნდა იყოს.



ШИНАГАН САКМЕТА САМИНИСТРОС
САКАРТВЕЛОС САСАЗЦВРО ПОЛИЦИИС
УФРОСИС

БРДАНЕБА

2007 წლის 14 11 №554 ქ.თბილისი

ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ

"საქართველოს მსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მაგერიალური უზრუნველყოფის შესახებ "საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 28 ივნისის №397 ბრძანებულების მე-11 პუნქტის შესაბამისად

ებრძანებ:

1. სამსახურეობლივი მოვალეობების მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებისათვის ფულადი პრემიით დაჯილდოვდენ სასაზღვრო პოლიციის შემდეგი მოსამსახურეები:

– სწრაფი რეაგირების რაზმის [illegible] – 1500 ლარით;
– სწრაფი რეაგირების რაზმის [illegible] – 1000 ლარით;
– სწრაფი რეაგირების რაზმის [illegible] – 1000 ლარით;
– სასაზღვრო პოლიციის [illegible] სამმართველოს [illegible] 1000 ლარით;
– სასაზღვრო პოლიციის [illegible] სამმართველოს [illegible] – 1000 ლარით;



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება

"21" XI 2007 წ. თბილისი №9025 სმ

ვადაზე ადრე სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ

„სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მს საკანონმდებლო საქმიანობის დროებითი დებულების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სამხედრო სამსახურზე ჩარიცხვის, თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის, სამხედრო და სპეციალური წოდებების მინიჭებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2003 წლის 4 აპრილის № 303 ბრძანებით დამტკიცებული წესების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად

ებრძანებ:

1. მსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე-სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორს, სასაზღვრო პოლიციის უფროს ლეიტენანტ ეკა ხიმონის ასულ გიგაურს მიენიჭოს ვადაზე ადრე სამუალო სპეციალური წოდება „სასაზღვრო პოლიციის კაპიტანი“.

2. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: მსს სასაზღვრო პოლიციის 2007 წლის 13 ნოემბრის №6/38-2/3-426 წერილი.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ივანე მერაბიშვილი

დანართი №6
42

„ვამტკიცებ“
საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსი
გენერალ-ლეიტენანტი ბ. ბიწაძე
„14“ ნოემბერი 2007 წ.

სასაზღვრო პოლიციის №6 სამმართველო (ბარისახო)
მოსამსახურეების დაჯილდოების სია.

№	წოდება	
1.	მაიორი	
2.	მაიორი	
3.	კაპიტანი	
4.	უფროსი ლეიტენანტი	
5.	უფროსი ლეიტენანტი	
6.	უმცროსი ლეიტენანტი	
7.	უფროსი სერჟანტი	
8.	უმცროსი სერჟანტი	
9.	უმცროსი სერჟანტი	
10.	უმცროსი სერჟანტი	

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის
უფროსის მოადგილე-სასაზღვრო პოლიტიკის
უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი ე. გიგაური



„სვაბოდის წელი ყოფილიყოს, სვაბოდის!..“ — როგორ ხვდებიან ახალ წელს პატიმრები

პურიდან ცხვირსახოცით გამოდევნილი საფუარი, ციხის მეთოდით მიღებული ფქვილი, „ჩაიდანში“ გამომცხვარი ხაჭაპური, ორცხობილისგან დამზადებული შოკოლადის ტორტი, საკნებში გამოხდილი ორნახადი არაყი და ბოთლებისგან დამზადებული ნაძვისხე

პატიმარი №0578

რამდენიც უნდა ვიდავოთ, ფაქტია, რეალურად, მოსახლეობა მასობრივად ორ დღესასწაულს აღნიშნავს — აღდგომასა და ახალ წელს. ახალი წელი საერო დღესასწაულია და დიდი თუ პატარა ცდილობს, განსხვავებულად შეხვდეს. ესეც არ იყოს, ყველას სჯერა, მომდევნო წელი წინაზე უკეთესი იქნება და იმედით ელის მას.

ახალ წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიც მოუთმენლად ელიან. მზადებას თითქმის ერთი თვით ადრე იწყებენ, რადგან ციხეში არ იშოვება საახალწლო ნობათი — არც ნამცხვარია, არც ხაჭაპური, შემწვარ გოჭსა და საცივზე საუბარიც ზედმეტია. სასმელიდან, ბრაგა (სასმელი, რომელიც კეთდება ციხეში) ყველაზე მიღებულია, მაგრამ გარისკვა ჭირს — 5 ლიტრზე მეტი ბრაგის აღმოჩენის შემთხვევაში, ხელისუფლება სასჯელს უმატებს და ერთი ახალი წლის თრობა, შესაძლოა გისოსებსმიღმა დამატებით ორ ახალ წლად დაგიჯდეს. მაინც, როგორ ხვდებიან პატიმრები ახალ წელს?

პატიმარი №0578 გლდანის ციხეში ახალი მიყვანილი იყო, როცა კამერა საახალწლო სამზადისს შეუდგა. გარედან ამანათზე საუბარიც კი ზედმეტი იყო. სამზადისისას, მათი ფანტაზია ციხის მაღაზიას, ე.წ. ლარიოკს არ უნდა გასცდენოდა. „ეს ახალი წელი ჩემზე იყოს. ძმაკაცები დამპირდნენ, ფულს დაგისვამთ კარტაზეო და არა მგონია, მომატყუონ“, — გამოაცხადა ლევანმა და მართლაც, 27 დეკემბერს მის ბარათზე ხუთასი ლარი იდო. ხუთი ყუთი ნამცხვარი, ძეხვი, მაიონეზი, კეტჩუპი და ათი ბოთლი საფერავის ლიმონათი — ეს იყო საახალწლო სუფრა, რომელიც გლდანის ციხეში გაიშალა. ლიმონათით პატიმრებმა სადღეგრძელო თქვეს, ზუსტად 12 საათზე კი ფანჯარასთან მივიდნენ, რათა დაენახათ, როგორ ზეიმობდა გლდანის მერვე მიკრორაიონი ახალ წელს. გარეთ მაშხალებს ისროდნენ, სავარაუდოდ შამპანურსაც ხსნიდნენ, ციხეში კი...

ზონაზე გადასვლის შემდეგ პატიმარი №0578 ახალი წლის დადგომას მოუთმენლად ელოდა. ამბობდნენ, ახალ წელს სასწაულები ხდებაო და სწორედ ამ სასწაულის ნახვა სურდა. 20 დეკემბერს მაყურებლის კამერაში მცირე თათბირი გაიმართა.

„ხაჭაპურს ქუთაისელები იკისრებენ, ნამცხვარს მეგრელების კამერა გააკეთებს, არაყი კახელებზეა“, — ჩამოარიგა მაყურებელმა დავალებები და №0578-მაც მაშინვე უთხრა: „თუ გარედან პერედაჩი გაამწვანეთ, ერთი მეც გამიმწვანეთ და დამიჯერეთ, არ ინანებთ“.

ყველას გაეცინა. მაყურებელმა კი ღიმილით უთხრა: „არა, ძმაო, არაფერი მწვანდება, ეს ყველაფერი აქ უნდა გაკეთდეს, ადგილზე და შენც გაქვს დავალება. ექიმებთან კარგად ხარ და არყისთვის გადასხმის ოთხი ახალი შლანგი გვჭირდება“.

„მეკაიფებით?! რა ხაჭაპური და ნამცხვარი?! ან რა არაყი?! ლარიოკში მარტო ყველია, ფქვილი თქვენ არ გაქვთ, საფუარზე რომ არაფერი ვთქვა, რაში უნდა გამოაცხოთ. ნამცხვარი კიდევ როგორ უნდა გააკეთოთ, ბისკვიტი არ ჩაგივარდეთ, რა... არაყი ხომ საერთოდ სიგიჟეა, ბრაგას ძლივს ადუღებენ და იმასაც კვარტალში ერთხელ“, — გაბრაზდა №0578. „ძმაო, ყველაფერს დრო სჭირდება“, — გაეღიმა მაყურებელს.

მეორე დღეს №0578 ნაცნობ ექიმს მიადგა და გადასხმის ოთხი ახალი სისტემა სთხოვა. ექიმმა ღიმილით მისცა და თან დაუყოლა: „არაყზე არ დაგიჭირონ, თორემ სროკს დაგიმატებენ“.

„აი, გადასხმის სისტემა, ექიმი აზრზეა, რომ არყისთვის გვინდა და ნუ გადამრიეთ, სად არაყი და სად გადასხმის აპარატი?! ან რით უნდა გამოხადოთ?! თუ არ ვნახავ, რისგან და როგორ აკეთებთ, დამლევი არ ვარ“, — პატიმარი №0578 მაყურებელს უნდობლად უმზერდა.

„ჩვენს კამერაში ბრაგას რომ ვაყენებთ, იცი შენ. ჰოდა, რომ დავაყენებთ, ნახავ არყის გამოხდა როგორ უნდა. გპირდები, შენს გარეშე არ ვიზამთ მაგ საქმეს. რაც შეეხება ხაჭაპურს, ქუთაისელებთან წადი და განახებენ“, — გაეცინა მაყურებელს. №0578 კი, ქუთაისელების საკნისკენ გაემართა.

„აგერ ძამია, ამ ცხვირსახოცს რომ უყურებ, გარედან ჩემებს შემოვაგზავნინე. სულ ახალია. დავასველებ, კარგად გავწურავ და პურის გულს შემოვახვევ გარედან. ღამე ასე დავტოვებ და დილით სულ თეთრი იქნება ეს ჩემი ცხვირსახოცი, საფუარს გამოიტანს პურიდან. ასე ვიზამ ხვალაც, ზეგაც და მომიგროვდება საფუარი. ფქვილს რაც შეეხება, ეგ უფრო ადვილია. პურის გულს თხლად ვჭრი და ვახმობ. მერე ამ გამხმარ პურს ქაღალდზე ვაფენ და ეს ხის მრგვალი ჯოხი რომ გვაქვს და შვილივით ვუფრთხილდებით, იმას გადავატარებ რამდენჯერმე. პლასტმასის ჯამი გვაქვს ნემსით დახვრეტილი და იმაში ვცრით. უმაღლესი ხარისხის ფქვილი არ გამოდის, მაგრამ რაც გამოდის, ხაჭაპურს კი ყოფნის“, — გაეღიმა ქუთაისელ მცხობელს.

„ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რაში აცხობთ ამ მეორადი ფქვილით მოზელილ ცომს, ეგ მითხარი. ყველი ლარიოკშია და იქიდან მოგაქვს, ცომი გავიგე, მაგრამ გამოცხობა ხომ უნდა ამას?“, — იკითხა №0578-მა.

„ეს პლასტმასის ჩაინიკები რომ იყიდება, ორლიტრიანია მგონი. მაგის ძირში ჩაგიხედავს?! რკინისაა. თქვენ წყალს ადუღებთ. მე კი გადავჭერი ტაფასავით და ვიყენებ. ზეთს ვუზამ ცოტას, დავატყეპებ ამ ხაჭაპურს, ქვედა მხარე რომ დაიბრაწება, ამოვაბრუნებ. ნაღდი იმერული არ იქნება, მაგრამ ვაგზალზე რომ იყიდება, იმას თუ არ აჯობოს, თავი მომჭერი“, — დაასრულა მონოლოგი ქუთაისელმა.

მეგრელების კამერაში გაცხოველებული სამზადისი იყო. ნაწილი ახლადნაყიდ წვერის საპარსს შლიდა, ნაწილი კი გამათბობელზე შოკოლადის ფილებს აწყობდა.

„აბა, ახლა თქვენ გამანათლეთ, ნამცხვარს როგორ აკეთებთ. ოღონდ არ მითხრათ ახლა იმ ქუთაისელივით, წყლის მადუღარაში უნდა ამოვიყვანოთ ბისკვიტიო“, — თქვა საკანში შესულმა №0578-მა.

„არა, რა ბისკვიტი, ძმა?! ხომ ხედავ, რამდენი პეჩენია გვაქვს ნაყიდი?! წვერის საპარსებს რომ ვშლით, ბრიტვები გვინდა. ახლა ამ პეჩენიებს ბრიტვებით შუაგულს ამოვუფხეკთ, გობივით გავაკეთებთ. მერე, „სგუშონს“ ამოვიტანთ ლარიოკიდან, კარაქს ავურევთ და ამ მასას ჩავასხამთ პეჩენიებში. მერე ჭადრაკულად დავალაგებთ და ორი დღე დავტოვებთ. დაარბილებს ეს „სგუშონი“ და კარაქი, გაუჯდება და მართლა ტორტივით დაიჭრება. ეს შოკოლადები კიდევ კი ხედავ, თავის ცელოფანშია. რომ გადნება გამათბობელზე, თავს გავუჭრით და ზემოდან მოვასხამთ გამდნარ. ნაღდი ტორტი გამოვა, უკეთესს ვერ შეჭამ“, — გაეცინათ მეტორტეებს.

„ყველაფერი ვნახე, მაგრამ არყის გაკეთების მაინც არ მჯერა. თან შენ რომ ამბობ, ნაღდი, ორნახადი იქნებაო, სულ ვგიჟდები. უნდა ვუყურო“, — პატიმარი №0578 მაყურებლის კამერაში იჯდა და ზონის ნომერპირველ პატიმარს ესაუბრებოდა.

„პრობლემა არ არის, ხვალ საღამოს ოფიცრებს ვეტყვი, დარჩი ჩვენთან და ნახავ“, — უთხრა მაყურებელმა.

მეორე საღამოს... „მოკლედ, ბრაგა გვაქვს რვა ლიტრი. კარგი, ნაღდი ბრაგა. ეს კაცმა ლიტრი რომ დალიოს, კარგად დაათრობს, მაგრამ მეორე დღეს თავის ისეთი ტკივილი იცის, მტერს და ავს. ამიტომ, არაყს გამოვხდით“, — უთხრა მაყურებელმა.

რვა ლიტრი ბრაგა „კოკა კოლის“ 2-2 ლიტრიან ოთხ ცარიელ ბოთლში გადაანაწილეს და სკოჩით ერთად შეკრეს. შემდეგ №0578-ის მიერ მოტანილი წვეთოვანი გადასხმის მილები აიღეს, ბოთლის თავსახურები გახვრიტეს და შიგნით ჩაარჭეს, ნაპრალები კი სანთლით ამოლესეს. ეს შეკრული ბოთლები პირდაპირ „პლიტაზე“ დადეს და როცა №0578-მა იკითხა, ბოთლებს ძირი რატომ არ ეწვებაო, ღიმილით აუხსნეს, ბრაგას კი არა, ამ ბოთლებში ჩეფირს ვადუღებთ კარცერშიო.

ბლანტმა სითხემ დუღილი დაახლოებით ერთ საათში დაიწყო, მილებიდან ორთქლი დაიძრა და იმის გათვალისწინებით, რომ მილების მეორე ბოლო სპეციალურად ამ პროცესისთვის მომზადებულ სქელ ცელოფანში იყო ჩაყოფილი, პრაქტიკულად წვეთიც არ იკარგებოდა.

„ანალოგიური რამ ახლა კიდევ სამ კამერაში კეთდება. ჩვენ ახლა აქედან ორ ლიტრ ერთნახად არაყს მივიღებთ, მერე იგივე ოპერაციით უკვე არაყს გამოვხდით და გვექნება ორნახადი არაყი, დაახლოებით ერთი ლიტრი, მაგრამ დამიჯერე, ისეთი, როგორიც გარეთ არის“, — ღიმილით უთხრა მაყურებელმა.

მართლაც, ორი დღის შემდეგ მაყურებლის კამერაში პრაქტიკულად სუფთა სპირტი იდო.

„ორას გრამს მოგცემ. ორ კაცს ეყოფა. ყლუპებით დალიეთ და დამიჯერე, ფეხზე ვერ დადგებით“, — ეს სიტყვები მაყურებელმა №0578-ს ახალი წლის წინა დღეს უთხრა და ორასი გრამი არაყი კამერაში სასოებით გაატანა. როცა საათმა თორმეტს ჩამოჰკრა, ზონა კინაღამ დაინგრა. პატიმრები ერთმანეთს კედლებზე მუშტების ბრაგუნით ულოცავდნენ ახალ წელს, ფანჯრებიდან გადაძახილს ბოლო არ უჩანდა და ძირითადად ყველა ერთ რამეს ყვიროდა: „სვაბოდის წელი ყოფილიყოს, სვაბოდის“... №0578-ის კამერა დაახლოებით ოცმეტრიანი პლასტმასის ჯაჭვით იყო მორთული. გამაგრილებელ ბოთლებს თავსახურის ქვემოთ რგოლები რომ აქვს, იმ რგოლებს კამერა რამდენიმე თვე აგროვებდა. მერე ერთმანეთს აბამდა, სანთლის ცეცხლზე აწებებდა და ასე მატულობდა ყოველდღიურად სიგრძეში ჯაჭვი, რომელსაც ახალ წელს კამერა უნდა „დაემშვენებინა“. ნაძვისხე მარტივად მოიფიქრეს პატიმრებმა — მწვანე ბოთლები ზოლებად ჩაჭრეს, გაზეთისგან „ჯოხი“ გააკეთეს, და მწვანე ბოთლები ზედ ჩამოაცვეს. ფიფქების ნაცვლად ლეიბებიდან გამოგლეჯილი ბამბა დაყარეს, სათამაშოების ნაცვლად კი „ლარიოკში“ ნაყიდი კანფეტები დაკიდეს.

„შენზე მითხრეს, 200 გრამი არაყი აქვსო. კაცურად, მომეცი, რა... ისეთ ხასიათზე ვარ, შეიძლება კაცი მოვკლა, კაცურად, რა“, — №0578-ს საკანში ცნობილმა რეპერმა, რევაზ გერცმა მიაკითხა. გერცი სასჯელს ავარიაზე იხდიდა და არც მეტი, არც ნაკლები, სუფთა რვა წელი ჰქონდა მისჯილი.

„მანქანა არ გყავს, გერციკ და კაცი როგორ უნდა მოკლა“, — გაუღიმა №0578-მა და დააყოლა, ას გრამს ერთ კაცს ვარ დაპირებული და ჩემ ას გრამს მოგცემ თუ გინდა. სასმელზე არც გარეთ ვგიჟდებოდი და აქ თუ ას გრამს არ დავლევ, არაფერი დაშავდება“, — უთხრა პატიმარმა და რეპერს არაყი იქვე გადაუსხა.

1 იანვრის დილას, როგორც წესი, ოფიცრებიც კი ცდილობენ ზრდილობიანად მოიქცნენ, თუმცა ეს დილა გამონაკლისი იყო, კამერის კარი გრიალით გაიღო და საკანში რეჟიმის წარმომადგენლები შევიდნენ.

„ჩაიცვი და გამოგვყევი“, — მიმართეს №0578-ს.

„მოხდა რამე?!“, — იკითხა პატიმარმა და თან ჩაცმა დაიწყო.

„ამას მერე გაიგებ, დროზე მეთქი“, — დააჩქარა რეჟიმის უფროსმა ლევან პაჭკორიამ.

„ახლა მაინც მითხარით, სად მივდივართ“, — კამერიდან გამოსვლისთანავე იკითხა №0578-მა.

„სად და, ინფორმაცია გვაქვს, №0578 გუშინ ლოთაობდაო, არაყს სვამდაო. შენ ხომ იცი, რომ ბრაგა ხუთი ლიტრი უნდა იყოს, სროკის დამატება რომ მოვახერხოთ და არაყი ერთი წვეთიც საკმარისია. ახლა შენ სისხლის ანალიზს ჩააბარებ, მერე ან გაბოზდები და ხელს დაადებ, ვინ მოგცა არაყი, ან კიდევ სამ წელს საახალწლო კანფეტივით დაიმატებ“, — ღიმილით უთხრა პაჭკორიამ.

„ოხ, გერციკ, შენს სიმღერებს მოვუსმენ მარტო, გარეთ რომ გავალ“, — გულში გაიფიქრა №0578-მა და პაჭკორიას უხმოდ გაჰყვა.

სისხლის ანალიზმა არაფერი აჩვენა, რამაც ცალკე პაჭკორია გააცოფა, ცალკე — ზონის შეფი ლაშა ბრეგვაძე.

„გამორიცხულია. ზუსტად ვიცით, არაყი კამერაში აიტანა და ისიც ზუსტად ვიცით, ძმაკაცს მხოლოდ ასი გრამი მისცა. მეორე ასი გრამი ან დალია, ან შეინახა. კამერა გადაატრიალეთ, თუ არა და ყველა მაგის საკამერნიკს ანალიზი აუღეთ, ვიღაც ხომ დალევდა, არაყს ხომ არ გადააქცევდნენ“, — ღრიალებდა ბრეგვაძე, მაგრამ შედეგი არაფერმა გამოიღო.

მთელი ამ დროის განმავლობაში, რევაზ გერცი ოფიცრებთან მიდიოდა და არყის ძიების პროცესზე ესაუბრებოდა, ვერსიებს გამოთქვამდა, სად შეიძლებოდა დაემალა №0578-ს ასი გრამი არაყი, მერე კამერაში ადიოდა და სიცილით ლოგინზე კოტრიალობდა.

„სამაღარიჩოდ გაქვს საქმე. მე რომ არა, სროკს დაგიმატებდნენ და მერე გენახა შენი ამბები. არა რა, გენიოსი ვარ, გენიოსი. ხედავ, რა სამი წელი გამოგაძრე“, — ღიმილით ამბობდა გერცი.

„შენ გამომაძრე თუ მე გამოგაძრე? გინდა ახლა ვუთხრა, ის არაყი ვის მივეცი და ეგ შენი რვა წელი წამებში თერთმეტად ვაქციო?!“, — გაეღიმა №0578-ს.

„მანამ არ აუდგეთ მაგათ გვერდები, სანამ შენ ეგ არ გააკეთო. არა რა, მაგარი ინტუიცია მაქვს, ჩემს ინტუიციას უნდა უმადოლდე“, — არ ჩერდებოდა გერცი.

* * *

ახალ წელსა და აღდგომას საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში რამდენიმე ათეულ პატიმარს ბრაგას დაყენების გამო, არაერთი და ორი წელი დაუმატეს. ბრაგასი რა მოგახსენოთ, მაგრამ საახალწლოდ ზონაზე ამანათები რომ შევიდეს და პატიმრებმა წელიწადში ერთხელ ოჯახში მომზადებული კერძები მიირთვან, ურიგო არ უნდა იყოს. თორემ, საახალწლოდ ხელისუფლების მიერ გამეტებული ნახევრადმოხარშული ქათმის ბარკალი დიდი ვერაფერი შეღავათია.

ერუსუდან შელია
557-100-768

მუშტი-კრივი პარლამენტში

რატომ ჩხუბობენ დეპუტატები და ვის ეკისრება საკანონმდებლო ორგანოში მოწყობილი სანახაობის გამო პასუხისმგებლობა

რამდენიმე დღის წინ პარლამენტში აკაკი ბობოხიძისა და ზურაბ ზვიადაურის მუშტი-კრივმა საზოგადოება დეპუტატების ფუნქცია-მოვალეობაზე კიდევ ერთხელ აალაპარაკა. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ასეთი პოლიტიკური დუელი არც პირველია და დიდი ალბათობით — არც უკანასკნელი. საქართველოში ყველა მოწვევის პარლამენტში გამართულა თითო გვარიანი მუშტი-კრივი — ისეთი, ხალხის მეხსიერებაში სამუდამოდ რომ ჩაიბეჭდა. ჩხუბის მეთოდები და ფორმები კი პარლამენტის შემადგენლობის ცვლასთან ერთად „იხვეწება“. თუ ადრე დეპუტატები, საზოგადოებასთან ერთად, მედიას სცემდნენ პატივს და საქმის გარჩევას, ჩართული მიკროფონების ნაცვლად, კულისებში, ძირითადად, პარლამენტის დერეფანში ამჯობინებდნენ, დღეს არც ამ პოლიტიკურ ეტიკეტს იცავს ვინმე — გინებასა და სალტოებს პირდაპირ ეთერში ვუყურებთ მაშინ, როცა დეპუტატები კარგად მიგვითითებენ პარლამენტის დრესკოდზე და ჟურნალისტებს შენიშვნებსაც აძლევენ, მოკლე კაბისა თუ დეკოლტეს გამო. შეიცვალა თემებიც — თუ წლების წინ პარლამენტარები დსთ-ს სივრცეში საქართველოს გაწევრიანებას აპროტესტებდნენ და სხდომის ჩაშლის მიზნით, სადენებს ჭრიდნენ, დღეს ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციაში კვოტებს ვერ ინაწილებენ.

პარლამენტში მუშტი-კრივის ქრონიკას ქრონოლოგიურად მივყვეთ, 90-იან წლებში, ამ „საქმეში“ პიონერები ვახტანგ რჩეულიშვილი და ნოდარ ნათაძე იყვნენ — პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ნათაძეს „ბორჯომი“ შეასხა, გამწარებული ნათაძის რეაქციამაც არ დააყოვნა და რჩეულიშვილს ტელეფონი ესროლა. მან ტელეფონი კი აიცილა, სამაგიეროდ, მოგვიანებით, თავის მიერ „პიდარასტად“ მონათლული მიხეილ მაჭავარიანის ნასროლმა საფერფლემ გაუტეხა თავი. ამის შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში მინის ჭურჭლის გამოყენება აიკრძალა და პოლიტიკოსები, ძირითადად, კიდურების ქნევით იგერიებდნენ ერთმანეთს. მოგვიანებით, ხელი არ გაისვარა და პირდაპირ წიხლი უთავაზა ედვარდ სურმანიძემ კოლეგა ბორის კაკუბავას, სკამიც უნდა მიეყოლებინა, მაგრამ გამშველებლებმა იყოჩაღეს. ჩხუბის მიზეზი არცთუ უმნიშვნელო იყო — პარლამენტის სხდომაზე სურმანიძემ კაკუბავას რუსეთის აგენტი უწოდა, ეპითეტის ადრესატმა კი პასუხად გვარიანად შეუკურთხა და წიხლიც „მიიღო“. ხმაურიანი იყო ნოდარ გრიგალაშვილისა და ვახტანგ რჩეულიშვილის ჩხუბიც. მაშინ ბორჯომის მაჟორიტარისა და რჩეულიშვილის სიმამრის ინტერესები გადაიკვეთა — სამცხე-ჯავახეთში რამდენიმე ჰესი ოფიციალურად შეიძინა, გრიგალაშვილი კი, სიძე-სიმამრს თბილისიდან გასასახლებლადაც იმეტებდა, რის გამოც რჩეულიშვილის მუშტი იგემა. ნოდარ გრიგალაშვილის სახელს კიდევ ერთი ინციდენტი უკავშირდება: ბარამიძეს „ლეღვის ფოთოლი“ უწოდა — ზურაბ ჟვანია და თანაგუნდელები არაპოპულარულ განცხადებებს შენ გაკეთებინებენ და გიყენებენო. ბარამიძე გრიგალაშვილს ფიზიკურად დაუპირისპირდა. რამდენიმე წელში დეპუტატი ბარამიძე „ლეღვის ფოთლიდან“ „ჩმორის“ წოდებამდე „დაწინაურდა“ — საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა სოსო ჯაჭვლიანმა პარლამენტის სხდომათა დარბაზში ყოფილ შს მინისტრს ძველი ცოდვები გაუხსენა და ასე მიმართა: „ნუ ბლატაობ, შე ჩმორო...“

წინა მოწვევის პარლამენტში საჯარო პირის თმენის ვალდებულებისა და თავშეკავების შესაშური მაგალითი პეტრე მამრაძე გახლდათ — მან აკაკი ბობოხიძის თავში ჩარტყმას დუმილით უპასუხა. ამ უკანასკნელმა კი „მთავარი დამრტყმელის“ სტატუსი 2012 წელს მოიპოვა, როცა ჯონდი ბაღათურიას წინააღმდეგ „გაილაშქრა“.

საქართველოს პარლამენტს, მუშტი-კრივის გარდა, სისხლისღვრაც ახსოვს. ამ მხრივ გამორჩეული დეპუტატ პეტრე ცისკარიშვილისა და ახალი მემარჯვენეების გენერალური მდივნის, დავით საგანელიძის დაპირისპირება გახლდათ, როცა 2002 წელს ამ უკანასკნელს ნაცმოძრაობის წევრმა „კასტეტით“ თვალის არეში ჭრილობა მიაყენა...

რა არის დეპუტატებს შორის ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიზეზი — ქართული ტემპერამენტი, პოლიტიკური მოუმწიფებლობა, ვიღაცისთვის მაგარი ბიჭობის დამტკიცება თუ საზოგადოებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება? ამის გარკვევას ფსიქოლოგ და პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძესთან** შევეცადეთ, რომელიც მთავარ „დამნაშავედ“ საზოგადოებას მიიჩნევს: **„გასაგებია, დეპუტატებს შორის დაპირისპირებას წინ ემოციები უძღვის, მაგრამ ადამიანს ზრდილობა იმისთვის აქვს, ემოციებს არ აყვეს და ურთიერთობის ელემენტარული წესები დაიცვას. ნაცმოძრაობა მაქსიმალურად ცდილობს კონფლიქტის პროვოცირებას, „ქართულ ოცნებას“ კი აკლია ის, რაც პარლამენტის თავმჯდომარეს აქვს — სხდომაზე დაწყებულ დაპირისპირებას დავით უსუფაშვილი ადევნებდა თვალს და მიუხედავად იმისა, თავადაც აწუხებდა „სანახაობა“, მდგომარეობიდან არ გამოსულა. ჩემი აზრით, პარლამენტში მსგავს დაპირისპირებაზე პასუხისმგებლობა საზოგადოებას ეკისრება და არამხოლოდ მათი არჩევისთვის! დეპუტატებმა რომ იცოდნენ, საზოგადოებისთვის პარლამენტში გინება და ჩხუბი მიუღებელია, სხვაგვარად მოიქცეოდნენ. ფიზიკური ანგარიშსწორება რეალობიდან მომდინარეობს. ადამიანები მუშტის ქნევას ერთი სიტყვით აფასებენ — „მაგარია“. როცა პოლიტიკოსი ქუჩაშიც და მეგობრებთანაც ე.წ. ძველბიჭური პრინციპით ცხოვრობს, ეს პარლამენტშიც შეაქვს. საზოგადოებაა მთლიანად დასახვეწი. დეპუტატების შერჩევის წესი რომც დახვეწო, თუ საზოგადოებაში მკლავის გადაწევა მიღებული იქნება, პრობლემა პარლამენტშიც ამოტივტივდება. მსგავსი თავ-პირის მტვრევა ყოველთვის ისეთ სახელმწიფოშია, სადაც პოლიტიკური სიმწიფე დაბალია. არ ვამბობ, დაპირისპირებაზე პასუხისმგებლობა პოლიტიკოსებს არ ეკისრებათ, მაგრამ მათ მოსახლეობა შობს. ყოველი მომდევნო თაობა იმ ტიპის ახალი პოლიტიკოსის გენერაციას ახდენს, რომლებსაც მიაჩნიათ, პარლამენტში კუნთების სათამაშოდ არიან შესულნი. ასე იქნება, სანამ საზოგადოება არ მიხვდება, რომ პარლამენტი გასართობი დაწესებულება კი არა, ქვეყნის ბედის განმსაზღვრელი ორგანოა. ნებისმიერ გადაცდომაზე ხალხს მძაფრი და ადეკვატური რეაქცია უნდა ჰქონდეს, თუმცა, როგორც გითხარით, დღეს საზოგადოებაც ასეთია! თუნდაც ფაქტი, რომ კაკო ბობოხიძეს მოსახლეობა 20 წელია დეპუტატად ირჩევს, ბევრ რამეზე მიანიშნებს. საზოგადოებაში ხდება რაღაც უბედურება! ძალადობა უფრო ფართოდაა მოდებული, ვიდრე ვგრძნობთ. პირველ რიგში, ეს მოცემულობაა გამოსასწორებელი“.**

პარლამენტში „ძველბიჭობას“ სანახაობისადმი საზოგადოების მიდრეკილების შედეგად მიიჩნევს ფსიქოლოგი და ტელეწამყვანი **გიორგი ჯაჯანიძე**, რომელიც „ვერსიასთან“ საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის ხელჩართულ ჩხუბზე საუბარს სწორედ მოსახლეობის რეაქციით იწყებს: **„ერთ-ერთ სოლიდურ მაღაზიაში ვიყავი, როცა დეპუტატების ჩხუბის შესახებ შევიტყვე. უეცრად წივილ-კივილი ატყდა და ვიფიქრე, ვიღაც დაჭრეს ან უფრო დიდი უბედურება დაგვატყდა თავს-თქო. ყველა ერთი მიმართულებით გაიქცა, გამყიდველებმა დახლი დატოვეს... ინტერესმა მძლია და ჩართული ტელევიზორისკენ წავედი — პირდაპირ ეთერში დეპუტატები ერთმანეთს ურტყამდნენ. ამ დროს შეკრებილ ხალხს გადავხედე, იღიმოდნენ და ბედნიერები უყურებდნენ ტელევიზორს. ხალხს ასეთი სანახაობა მოსწონს — ერი გაერთო. ამდენ კაცში ერთიც არ შეწუხდა, რა ხდება, ჩვენი „რჩეულები“ როგორ იქცევიანო. ასე ცხოვრებას შევეჩვიეთ — დღეს რაც მოხდება, ხვალ უფრო დიდი უბედურებით გადაიფარება... ჯოჯოხეთი რომ დატრიალდეს, ხვალ მეორე გადაფარავს. ამ ყველაფერს ჯანსაღად მეც ვერ ვუყურებ და ვერც ტრაგედიად აღვიქვამ. დარწმუნებული ვარ, რამდენიმე დღის შემდეგ ეს დეპუტატები გვერდიგვერდ დასხდებიან და მშვიდად მოიკითხავენ ერთმანეთს. ასეთ შემთხვევებზე პასუხისმგებლობა თითოეულ ჩვენგანს უნდა დაეკისროს, თუმცა სამყაროა შეშლილია, ნორმალურ ფაზაში აღარ ვცხოვრობთ, ყველა ისე „უბერავს“, როგორც უნდა. ამ პოლიტიკოსებს საახალწლო კურიოზებში აჩვენებენ და მომავალი მოწვევის პარლამენტშიც იგივე მოხდება. როცა პირველად სიტყვა „კოჰაბიტაცია“ გავიგე, მომეწონა. ვიფიქრე, თუ შევძლებთ და მივუტევებთ ადამიანებს, რამეთუ არ იციან, რას სჩადიან, გამოსავალსაც ადვილად მივაგნებთ-მეთქი. ჩვენი სარწმუნოებაც ხომ პატიებას ქადაგებს... თუმცა შევცდი. გამოდის, ქართველები ჭეშმარიტი მორწმუნეები არ ვართ, რადგან პატიება ვერ შევძელით. კოჰაბიტაციის უფლება ხელისუფლებას ხალხმა არ მისცა და ვითარებაც აირია! ვფიქრობ, საქართველო დიდხანს არ დამშვიდდება, რადგან ლოდინისა და მოთმინების უნარი ნაკლებად გვაქვს. ყველაფერი ერთბაშად გვინდა. მახსოვს, ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდია რომ მოვიდა, ხალხმა მისი გინება ცხრა თვეში დაიწყო — ქვეყნისთვის არაფერს აკეთებსო. დროის გარდა, არაფრის იმედი მაქვს, მენტალობაში გვაქვს გარღვევა. ბოლოს მომხდარ ჩხუბზე საზოგადოება რომ შეშფოთებულიყო, მისულიყო პარლამენტის შენობასთან და დეპუტატები სირცხვილის დერეფანში გაეტარებინა, ასეთ დაპირისპირებას მომავალში ვერ გაბედავდნენ... თუმცა ყველა თვითგადარჩენაზე ზრუნავს, მათ შორის, დეპუტატებიც! მათ ხალხის კი არა, საკუთარი თავის პატივისცემა დაკარგეს. ერთმა დეპუტატმა აღიარა, არ მეგონა, ჩემი გინება ტელევიზიით თუ გადაიცემოდა, თორემ სხვაგვარად მოვიქცეოდიო. გამოდის, კამერისმიღმა გინება ნორმად მიაჩნია. დარწმუნებული ვარ, მთავრობა რომც შეიცვალოს, იგივე იქნება; მეტიც — უარესს ველი, რადგან ზოგადად, დედამიწა დაბერდა და ამ ყველაფერს ვეღარ იტევს“.**

ვერსიანიუსი

შშმ ბავშვებს პენსია ეზრდებათ

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების პენსია სექტემბრიდან საარსებო მინიმუმს გაუტოლდება, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების ჩამორჩენის მქონე ბავშვებისთვის კი სპეციალური სერვისები შეიქმნება.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება შშმ ბავშვთა მშობლებს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ნინო კობახიძემ გააცნო.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ აღნიშნა, რომ შშმ პირთა პრობლემების ეტაპობრივად მოგვარების მიზნით მთავრობა კიდევ არაერთი ცვლილების განხორციელებას გეგმავს, რომლებიც შშმ პირთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, რამდენიმე წელზე გაიწერება.

შშმ პირებისთვის თანასწორი შესაძლებლობების შექმნის მიზნით აქტიურად მუშაობს უწყებათაშორისი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში მთავრობის ადმინისტრაციის, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს, ჯანდაცვის სამინისტროსა და თბილისის მერიის წარმომადგენლები შედიან.

მთავრობის გადაწყვეტილებით, შშმ სტატუსის მქონე 9 929 ბავშვს პენსია 50 ლარით გაეზრდება, ასევე, 2015 წლის ზაფხულიდან დაიწყება აუტისტური სპექტრის აშლილობების (ასა) მქონე ბავშვთა აბილიტაციის საპილოტე პროგრამა, რომლის ფარგლებში, თბილისის მერია ყოველთვიურად, 2-დან 15 წლამდე 200-მდე ბავშვის მომსახურებას დააფინანსებს.

მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების ჩამორჩენის მქონე ბავშვებისთვის კი, შინ მოვლის პროგრამა შეიქმნება. შინ მოვლის მომსახურებას უზრუნველყოფს მულტიდისციპლინური გუნდი — ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქოლოგი, პედიატრი, განვითარების სპეციალისტი, მეტყველების თერაპევტი, სოციალური მუშაკი და მომვლელი.

ეს მომსახურება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მძიმე და ღრმა შშმ ბავშვების სასიცოცხლო და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო ფიზიკურ და კოგნიტურ უნარებს, კომუნიკაციას და სოციალურ ინტეგრაციას. მშობლებს, რომელთაც არ ჰყავთ დამხმარე, სპეციალიზებული მომვლელი დასაქმების საშუალებასაც მისცემს. პროგრამა გამიზნულია მძიმე და ღრმა ინტელექტუალური და მძიმე ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 7-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. პროგრამის მოსამზადებლად, 2015 წლის იანვრიდან, დონორთა დახმარებით, სპეციალისტები მომზადდებიან, ხოლო პროგრამა 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყება.

მთავრობა შშმ პირთა უფლებების დასაცავად და თანასწორი შესაძლებლობების შექმნისთვის ძალისხმევას არ იშურებს. ამ მიზნით, სამდივნო, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროში მოქმედებდა, პრემიერ-მინისტრის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს დაქვემდებარებაში გადავიდა.

„პირველი“

დაუვიწყარი საახალწლო პროგრამა თბილისში

სად მოვუწყოთ ჯადოსნური საღამო პატარებს

მაკა ლომაძე
555-27-95-13

ახალი წელი ყველას დღესასწაულია, თუმცა პატარებს მაინც სხვაგვარად უხარიათ მისი მოსვლა. ყველაზე ბედნიერები, ამ ჯადოსნურ დღეებში, ისინი არიან, ვისაც ნამდვილად სჯერა სასწაულისა და თოვლის ბაბუის არსებობის. დამკვიდრებული ტრადიცია — ოჯახის წევრებსა და მეგობრებს საშობაო საჩუქრები გაუკეთო, ადამიანებს საშუალებას აძლევს, მთელი ცხოვრება გაჰყვეთ ამ დღესასწაულით მოგვრილი სიხარული და მისდამი სრულიად განუმეორებელი მოლოდინი. საუკეთესო საჩუქარი კი პატარებისთვის განსაკუთრებით, საშობაო-საახალწლო ღონისძიებების სტუმრობაა, რათ მათ მეხსიერებაში წარუშლელ პოზიტიურ კვალს ტოვებს. „ვერსიამ“ გაარკვია, რომ ასეთი ღონისძიება თბილისში, ძველით ახალ წლამდე, არაერთი ჩატარდება. ასე რომ, არჩევანი საკმაოდ დიდია.

რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე, 3-დან 12 იანვრის ჩათვლით, შეგიძლიათ რობერტ სტურუასა და ნიკოლოზ ჰაინე-შველიძის მიერ დადგმულ „ჯადოსნურ ღამეს“ დაესწროთ. მარჯანიშვილის თეატრი კი 4-6, 8-11, 13-15 იანვარს ჩარლზ დიკენსის ლევან წულაძისეულ „საშობაო სიმღერას“ შემოგთავაზებთ. ბილეთების ფასი 6 ლარიდან იწყება. თავისუფალ თეატრში 3-6 იანვარს, საკმაოდ მონატრებულ „პეპის“ ნახავთ. ასტრიდ ლინდგრენის უკვდავი ზღაპარი ამჯერად ავთო ვარსიმაშვილმა გააცოცხლა; გრიბოედოვის რუსული თეატრი პატარებისთვის მრავალფეროვან პროგრამას გთავაზობთ. თანაც, ყველა სპექტაკლზე ფასი 5 ლარია. დიდ დარბაზში 2, 3, 9 და 10 იანვარს, გაიმართება ვახტანგ ნიკოლავას მუსიკალური წარმოდგენა — „მაუგლი“ (რუსულ ენაზე), 5 იანვარს თქვენს თვალწინ რეჟისორ დიმიტრი პავლოვის ერთმოქმედებიანი დრამატული ზღაპარი „თორმეტი თვე“ „გაირბენს“, 11 იანვარს, დასი წარმოგიდგენთ ვახტანგ ნიკოლავასა და ავთანდილ ვარსიმაშვილის ერთობლივ მუსიკალურ სპექტაკლს „საშობაო ზღაპარი“.

10-11 იანვარს, თბილისი არტ ჰოლში პოპულარული ანიმაციის „მაშა და დათვის“ ჩვენება მოეწყობა. თუ გსურთ, პატარებს უჩვენოთ ზოროდგადაქცეული მაშა როგორ გადაარჩენს ახალ წელს, არჩევანი სწორედ არტ ჰოლზე უნდა შეაჩეროთ. მითუმეტეს, ბილეთის ფასი 5 ლარიდან იწყება.

3-დან 6 იანვრის ჩათვლით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი (ე.წ. ილიაუნის თეატრი), მართავს საახალწლო სპექტაკლ-მიუზიკლს ბავშვებისთვის სახელწოდებით „შენთვის ნაპოვნი ფერები“. ბილეთის ფასია 10 ლარი და მასში საახალწლო საჩუქარიც შედის. პატარებს ელით დაუვიწყარი სანახაობა, ზღაპრის გმირებთან და თოვლის ბაბუასთან შეხვედრა, აინთება საზეიმო ნაძვის ხე, სპექტაკლ-მიუზიკლში კი მონაწილეობას ცნობილი ბავშვები მიიღებენ. მოზარდმაყურებელთა თეატრის მცირე დარბაზში, 2,3, 4, 5, 6, 7, 10 იანვარს, რუსულ ენაზე წარმოდგენილი იქნება „საახალწლო ღამე და კოსმიური სტუმრები“. (ფასი: 7 ლარიდან). იგივე სპექტაკლი 2-7 იანვარს ქართულ ენაზე გაიმართება. 3-5 იანვარს, კი თეატრში საახალწლო ნაძვისხეს იხილავთ. თეატრი პატარებს გასართობ პროგრამას, მხიარულ თამაშებსაც პირდება. ჩვენ თვალწინ გაცოცხლდებიან ზღაპრული სამყაროს გმირები, ულამაზეს ნაძვისხესთან კი ბავშვებს თოვლის ბაბუა და ფიფქია დახვდებიან. თოვლის ბაბუას როლში ცნობილი და ყველასთვის საყვარელი ნუგზარ კვაშალი იქნება. 9 იანვარს, „ხუთკუნჭულა“ იგეგმება. (ფასი — 7 ლარიდან). იმავე დღეს, 17.00 სთ-ზე კი მოზარდმაყურებელთა დასი „ფიფქია და შვიდ ჯუჯას“ წარმოადგენს. 14 იანვარს, მაყურებელს რეჟისორ ბესო კუპრეიშვილის თოჯინური ოპერა „სევილიელი დალაქი“ უმასპინძლებს. თეატრის წარმომადგენლების განმარტებით, საოპერო თოჯინური სპექტაკლი განსაზღვრულია თეატრის ყველაზე პატარა მაყურებლისათვის. ეს არის არაჩვეულებრივი მუსიკის, უნიკალური შემსრულებლებისა და გასაოცარი თოჯინების სინთეზი, რომლის ანალოგიც, საქართველოში, დღემდე არ დადგმულა. 15 იანვარს საახალწლო პროგრამას „ნაცარქექია“ დახურავს.

„მაჩაბელას“ საბავშვო თეატრი, „მსახიობის სახლში“, 2-3-4-6-7-8 იანვარს, სამოქალაქო საქველმოქმედო აქციის „ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით“ ფარგლებში წარმოგიდგენთ მუსიკალურ სპექტაკლს „ზღაპარეთის ერთი უჩვეულო ღამე“. 5-ლარიანი ბილეთებით შემოსული თანხით: 12 შვილიან ლალი გამჯაშვილის ოჯახს ერთი საძინებელი გაურემონტდება; 7-შვილიან მარტოხელა მამას საოჯახო ნივთები და აუცილებელი ტექნიკა გადაეცემა; ღია ცის ქვეშ დარჩენილ შმმ ლალი ბარათაშვილს ერთი თვის ბინის ქირის თანხა გადაეცემა. თბილისის საკონცერტო დარბაზში, 7, 8 და 9 იანვარს, საოჯახო-სათავგადასავლო ჟანრის „ყინულის დედოფალი“ გელოდებათ. იდეის ავტორი და მხატვრული ხელმძღვანელი ბესო ჩანტლაძე, დამდგმელი რეჟისორი კი, ზაალ ჩიქობავა გახლავთ. ბილეთის ფასი 10 ლარიდან იწყება.

საახალწლო პროგრამის ნამდვილი ბრილიანტია ნანი ბრეგვაძის სოლო კონცერტს, რომელიც 4 იანვარს, თბილისის საკონცერტო დარბაზში გაიმართება. კონცერტს ლეგენდარული მომღერალი პატრიარქის დაბადების დღეს უძღვნის. პროგრამას „დრო სამყოფელი“ ჰქვია და მისი გენერალური პროდიუსერი დავით ოქიტაშვილი გახლავთ. ნანი ბრეგვაძის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს, სცენაზე ეკა მამალაძე და ნატალია ქუთათელაძე გააცოცხლებენ.

როგორ შევხვდეთ ახალ, 2015 წელს

მომავალი, 2015 — ხის ლურჯი თხის წელიწადია, ცვლილებების, მოულოდნელობების წელი; თხა მხიარული, გულუხვი და უბოროტოა. რევოლუციური აღმოჩენებისა და ძველი კონფლიქტების დასრულების პერიოდი იწყება. თხა ტრადიციულად მდედრის ნიშანია, ამიტომ ის საჩუქარს უძღვნის ყველა მანდილოსანს — დიდსულოვან დიასახლისებსაც და ექსცენტრულ, თავქარიან გოგონებსაც. თხას თავისი სტიქია — ცეცხლი მოაქვს, ოჯახური კერის თბილი ცეცხლი. თხის წელიწადში, ჩვეულებრივ, კარგი ამინდებია ხოლმე — უხვი მოსავლით, ჯანმრთელი პატარებით. თხას არ უყვარს ტყუილი და ღალატი, ის მკაცრად სჯის სიცრუეში მხილებულებს. მომავალი წელი უსიამოვნოა პოლიტიკოსებისთვის. შემთხვევითობა მათ რეალურ საქმიანობასა და ზრახვებს გამოააშკარავებს. მშვიდობისმოყვარული და კეთილი თხა ეწინააღმდეგება კონფლიქტების გაღვივებას და მშვიდობის დამყარებას ცდილობს.

ბევრ ადამიანს ახალი წლის შესახვედრად საგულდაგულო სამზადისის დრო არ აქვს. სიჩქარეში კი რამე ცუდად რომ არ გამოგვივიდეს, სპეციალისტების რჩევებს მივყვეთ და გავიგოთ, როგორ შევხვდეთ ახალ წელს, როგორ გავაწყოთ საახალწლო სუფრა და თავადაც როგორ გამოვეწყოთ.

ხის ლურჯი თხის წელიწადის დასახვედრად, საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს ყველა სახის მწვანილი, ბოსტნეულის სალათები. კერძებს ცოცხალი მწვანილით თუ გააფორმებთ, წლის სიმბოლოს ნამდვილად ასიამოვნებთ. სადღესასწაულო სუფრას ხორცეულით დიდად ნუ დატვირთავთ. თევზეულით კი თავი ნამდვილად შეგიძლიათ გაინებივროთ. თუ ოჯახის ბიუჯეტი ამის საშუალებას გაძლევთ, ეცადეთ, სუფრაზე რამდენიმე სახეობის ყველი დადოთ. სასურველია ასევე კერძებს კომბოსტოსგან თუ მოამზადებთ და ზღვის პროდუქტს შეიძენთ. თხას ტკბილეულიც უყვარს, განსაკუთრებით ხილისა და რძიანი დესერტები. ამბობენ, ოჯახური ჰარმონიისა და ბარაქის მოსაზიდად, ახალი წლის ღამეს, სახლში ახალგამომცხვარი პურის სურნელი უნდა ტრიალებდესო. ასე რომ, თუ არ დაიზარებთ, პურსაც თავად გამოაცხობთ და ხის ლანგრით დადგამთ სუფრაზე, ძალიან კარგი იქნება.

სადღესასწაულო სამზადისს თუ თავი დააღწიეთ, დროა, საკუთარ თავსაც მიხედოთ. რა ჩავიცვათ ახალი წლის ღამეს? — სპეციალისტები გვირჩევენ, უპირატესობა მივანიჭოთ წლის სიმბოლოს საყვარელ ფერებს — ლურჯსა და მწვანეს, ასევე იისფერს, ნაზ ცისფერს, ზღვის ტალღის ფერსა და ფირუზისფერს. შესანიშნავი იქნება, ასევე თეთრისა და ნაცრისფრის ტონები. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქალბატონი უპირატესობას მოკლე, კოქტეილის კაბებს ანიჭებს, ამ ახალ წელს გრძელ, კოჭებამდე სამოსზე შეაჩერეთ არჩევანი. „კაჭკაჭებმა“ კი, უმჯობესია ზურმუხტის ან მწვანე შეფერილობის სხვა ძვირფასი ქვებისგან დამზადებული სამკაული შეარჩიოთ. კარგი იქნება, თუ სამოსის გასახალისებლად ხისგან დამზადებულ აქსესუარებს გამოიყენებთ. რაც შეეხება მამაკაცებს, მათ სპეციალისტები მუქი ლურჯი ან ნაცრისფერი კოსტიუმების მორგებას ურჩევენ. მწვანე ან ლურჯი პერანგი კი მისი მფლობელის განუმეორებელ სტილს გამოკვეთილად აღნიშნავს და ყველასგან გამოარჩევს.

რას სთხოვდნენ საუკუნის წინ სანტა-კლაუსს

ბრიტანელმა ბუხრის მწმენდავმა ენდი ბედასმა ერთ-ერთი შენობის ბუხარში, სანტა-კლაუსისთვის დაახლოებით 100 წლის წინ მიწერილი წერილი იპოვა. გზავნილი გოგონა ჰელის ეკუთვნის და უელსში მდებარე სკოლა-ინტერნატის შენობის საკვამლე მილში აღმოაჩინეს. წერილში გოგონა სანტას სთხოვს, საახალწლოდ საჩუქრად მიიღოს საღამოს კაბა და ერნსტ რეიმონდის წიგნი „ილაპარაკე, ინგლისო“. ბედასი აცხადებს, რომ წერილი ბუხრის მტვერსასრუტით გასუფთავებისას გამოჩნდა. გავოცდი, ეს დაკეცილი და ნახევრადგვერდებშემომწვარი ბარათი რომ ვიპოვე და დამაინტერესა, რა ეწერა. აღმოჩნდა, რომ ეს საუკუნისწინანდელი პატარა გოგონას სურვილების ბარათი იყო, — ამბობს ის. აღსანიშნავია, რომ ამ შენობაში დღესაც მოქმედებს სკოლა გოგონებისთვის.

1. გადასატანი კომპიუტ.
2. მაუგლის პითონი
3. ზუსტი მიბაძვა, მიმსგავსება
4. სამელექ-ტროდიანი ელექტრონ-მილაკი
5. ბიბ-ლიური ისააკის ვაჟი
6. დოლიძის ოპერა „ქეთო და ...“
7. კოქტეილის მოსამ-ზადებელი ჭურჭელი
8. გასულ წელს ანუ როდის?
9. საცეკვაო ნაბიჯი
10. შეთან-ხმება ორ პარტიას შორის
11. ფართობის ერთეული, ჰექტრის მეასედი
12. მოძრაობა რელიგიების გასაერ-თიანებლად
13. ძროხის ნაშიერი
14. ტოგოს დედაქა-ლაქი
15. ინ-დონეზიის კუნძული
16. ძველებ. ჩასაბერი საკრავი
17. შინაური ცხოველი
18. მდინარე საქართვ.
19. რუსი მწერალი
20. საგზაო მშენე-ბლობაში ხმარ. ფისი
21. ბელარუსის დედაქალაქი
22. ჟიულ ვერნის კაპიტანი
23. სასწავლო დაწესე-ბულება
24. ღვთის-მშობელი მარიამის დედა
25. დიდი სამგზავრო თვითმფრი-ნავი
26. საქა-რთველოს პატრიარქის სახელი
27. ძაბრისებ. ჩაღრმავება ვულკანის ყელზე
28. ფულის გამოძალვა მუქარით
29. უზურგო სკამი
30. მოღალატე განდ-გომილი
31. იაპონ-ური შაში
32. მსხლის ინგლისური ჯიში
33. ფრიქ-სეს და ჰელეს დე-დინაცვალი
34. სამ-კურნალო მცენარე
35. ქართ. ფილმი „მარტოხ-ელა ...“
36. ქვეყანა აფრიკაში
37. იტალ. ფეხბურთ
38. ალკოჰ. სასმელი
39. იაპონური დეკორატ. ხელოვნება
40. სოფელი სენაკის რაიონში
41. გასეირნება ბავშვის ენაზე
42. მსახიობი ედი ...
43. რომის იმპერა-ტორი
44. ვაშლის ღვინო
45. „ქალი კამელი-ებით“ ანუ ... გოტიე
46. აიეტის მეუღლე
47. საფ-რთხობელა
48. ქართველი მწერალი ... არაგვისპირელი
49. ფო-ტოგრაფის სახელოსნო
50. ტროპი-კული ხილი
51. პატარა ნაპრალი
52. მსახიობი ... პაჩინო
53. ცეცხ-ლის მნათი ნაწილი
54. კომპოზ. ... სეფიაშვილი
55. წილი საერთო ბიზნესში
56. აბრეშუმის ქსოვილი
57. მუსი-კალ. გამის III ნოტი
58. ველური კომში
59. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
60. ინდური ავტომარკა
61. ყველ-განმავალი მანქანა
62. მუსი-კალ. გამის IV ნოტი
63. ბელგიელი მევიოლინე
64. მსახიობი ვივიენ ...
65. კიმონოს შესაკრავი ქამარი

წლის გამორჩეული ვარსკვლავები დაასახელეს

პოპულარულმა ამერიკულმა გამოცემამ People წლის გამორჩეული ვარსკვლავების რეიტინგი გამოაქვეყნა. 2014 წელს, ჟურნალმა ყველაზე სექსუალურ ქალად Victoria's Secret-ის სახე, მოდელი ქეით აპტონი დაასახელა. წლის ტოპ-მოდელად ბრენდის კიდევ ერთი „ანგელოზი“ კარლი კლოსი აღიარეს. „სტილის დედოფლის“ წოდება გამოცემამ მომღერალ გვენ სტეფანის მიანიჭა, საუკეთესო მოდელი მსახიობი ქეით ჰადსონი გახდა, „წლის უნივერსალური ადამიანი“ კი მომღერალი ჯენიფერ ლოპესი. ჟურნალმა ასევე დააფასა ტელე და კინოინდუსტრიაში მოღვაწე ვარსკვლავები — საუკეთესო სამსახიობო ნამუშევრისთვის 2014 წელს ჯენიფერ ენისტონი გამოარჩიეს, მამაკაცებში ასეთი ტიტული მაიკლ კიტონს ერგო. წლის ნამყვანად კი ჯიმი ფელონი დაასახელეს.

ნაძვისხე ეკოლოგებისგან

მექსიკის ქალაქ ოახაკაში შვიდმეტრიანი საახალწლო ნაძვისხე დადგეს, რომელიც მთლიანად პლასტმასის ბოთლებისგან დაამზადეს. ეს ბოთლები ადგილობრივმა ეკოლოგებმა შეაგროვეს ქალაქის ქუჩებსა და მდინარის ნაპირებზე. მთელმა „მოსავალმა“ 3600 ცალი შეადგინა. გარემოსდამცველებს სურთ, აჩვენონ ყველას, რომ პლასტმასის ნარჩენებსაც შეიძლება „მეორე სიცოცხლე“ ჰქონდეთ. ასეთი აქცია მექსიკაში უკვე მეოთხე წელია ტარდება და ეკოლოგები მას ქვეყნისთვის მეტად აქტუალურად მიიჩნევენ. მსოფლიო მასშტაბით, მექსიკა ერთ-ერთი ლიდერია იმ ქვეყნებს შორის, სადაც ბოთლებში ჩამოსხმულ ყველაზე მეტ სასმელს მოიხმარენ. მექსიკა აწარმოებს ამ ტარის ყველაზე დიდ რაოდენობას. ბოთლების შესაგროვებლად და მათ გასარეცხად აქციის მონაწილეებს ერთი კვირა დასჭირდათ. ახლა ქალაქის ცენტრალურ პარკს პლასტმასის ნაძვისხე ამშვენებს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

8					3		9	6
9			1	8				
		2		4		1		7
2	4		9					
				7				
					2		5	4
4		9		3		6		
				5	4			1
1	2		6					3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

				3			4	
		6	5					8
3	2		9					5
		5					7	
6				1				2
	4					8		
1					7		8	3
8					3	4		
	5			4				

ᲠᲗᲣᲚᲘ

1			5					3
							1	
			6			9	5	8
				6	9		4	7
8		7	3	5	4	1		9
4	1		7	8				
7	4	3			6			
	9							
5					7			4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	5				3		9	6
						8	7	
6			2					3
		4	3		7			5
		3	5		1	7		
7			9		6	4		
5					2			8
	3	1						
9	7		1				6	

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘ

მსოფლიოს ხალხებს ახალი წლის შეხვედრის განსხვავებული ჩვეულება და ტრადიციები აქვთ, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა ხოლმე. მათ შორის ზოგჯერ საკმაოდ უჩვეულო და სასაცილო ტრადიციაც გვხვდება. ამომავალი მზის ქვეყნის მოსახლეობა საკმაოდ ცრუმორწმუნეა და დიდი პასუხისმგებლობით ეკოდება ახალი წლისთვის შეხვედრას. საახალწლო ღამეს, ისინი ტაძარში მიდიან, სადაც ზარები, არც მეტი, არც ნაკლები, 108-ჯერ რეკავს. იაპონელები ამგვარად ცდილობენ ადამიანური ნაკლოვანებებისგან გათავისუფლებას და ცხოვრებიდან ყველაფერი ცუდის განდევნას. ისინი მიიჩნევენ, რომ ყოველ ნაკლოვანებას (სულ 6-ია) 18 სახეობა აქვს, ამიტომაც ჯამში, მათი რაოდენობა 108 გამოდის. გარდა ამისა, ახალი წლის დადგომისთანავე ისინი ხმამაღლა იცინიან, რათა შემდეგ წელს წარმატება სდევდეს.

მეტად თბილი და საყვარელი ტრადიცია აქვთ ბულგარელებს — ახალი წლის დადგომამდე ზუსტად სამი წუთით ადრე ისინი სახლში შუქს აქრობენ და ერთმანეთს კოცნიან. ერთ-ერთი ყველაზე რომანტიკული და ლამაზი ჩვეულებით ბრაზილიელები გამოირჩევიან. ახალი წლის ღამეს ისინი ოკეანის სანაპიროზე იკრიბებიან, წყალში ვარდის ფურცლებს ყრიან, სურვილს ჩაუთქვამენ და ტალღებში უმრავ ანთებულ სანთელს უშვებენ — სანახაობა მართლაც ულამაზესია.

აპენინებზე არსებობს ასეთი ტრადიცია — ახალი წლის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე სახლში შეაქვთ ხის დიდი კუნძი და ბუხარში უკეთებენ, სადღესასწაულო ღამეს რომ იგიზგიზოს. იტალიელებს სჯერათ, რომ ამ გზით ყველა პრობლემასა და უსიამოვნებას წვავენ, რაც კი განვლილ წელს ახლდა. გარდა ამისა, ამ ტემპერამენტიან სამხრეთელებს ერთი პიკანტური ტრადიცია აქვთ — საახალწლო საჩუქრად ერთმანეთს წითელ თეთრეულს ჩუქნიან. ეს ფერი მათთვის სიახლესთან ასოცირდება.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	4	3	2	1	7	9	5	8
9	2	8	6	5	4	1	7	3
5	1	7	3	9	8	2	6	4
4	9	6	1	7	3	8	2	5
3	8	5	4	2	6	7	1	9
2	7	1	5	8	9	4	3	6
1	6	2	9	4	5	3	8	7
8	5	9	7	3	2	6	4	1
7	3	4	8	6	1	5	9	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

5	1	9	7	3	8	2	4	6
4	7	6	5	2	1	3	9	8
3	2	8	9	6	4	7	1	5
9	3	5	6	8	2	1	7	4
6	8	7	4	1	9	5	3	2
2	4	1	3	7	5	8	6	9
1	9	4	2	5	7	6	8	3
8	6	2	1	9	3	4	5	7
7	5	3	8	4	6	9	2	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	2	6	5	9	8	4	7	3
9	5	8	4	7	3	2	1	6
3	7	4	6	2	1	9	5	8
2	3	5	1	6	9	8	4	7
8	6	7	3	5	4	1	2	9
4	1	9	7	8	2	3	6	5
7	4	3	9	1	6	5	8	2
6	9	2	8	4	5	7	3	1
5	8	1	2	3	7	6	9	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	5	2	8	7	3	1	9	6
3	1	9	6	5	4	8	7	2
6	8	7	2	1	9	5	4	3
1	9	4	3	2	7	6	8	5
8	6	3	5	4	1	7	2	9
7	2	5	9	8	6	4	3	1
5	4	6	7	9	2	3	1	8
2	3	1	4	6	8	9	5	7
9	7	8	1	3	5	2	6	4

მე-10 გვერდი: 1. სტანიცა; 2. „ტიტანიკი“; 3. ნეტო; 4. ცუკერბერგი; 5. აგარაკი; 6. გოზინაყი; 7. რიველინო; 8. კურბე; 9. სტატიკა; 10. ამონალი; 11. ერი; 12. ფრე; 13. აზავერი; 14. ალიკანტე; 15. საუნდტრეკი; 16. ბაიანი; 17. ოლარი; 18. ენა; 19. ბრომი; 20. ალია; 21. ბესლანი; 22. ყინული; 23. რკალი; 24. ანი; 25. შეილოკი; 26. ანათემა; 27. „ნოკია“; 28. არიგატო; 29. მოგოლი; 30. თხა; 31. გალა; 32. დონ; 33. ეგო; 34. ემბარგო; 35. ტენცო; 36. კოლიტი; 37. არ; 38. ეტი; 39. ვან; 40. ბორი; 41. რეტრო; 42. მაუ; 43. როდ; 44. ბრემენი; 45. ელ; 46. ალა; 47. სურვილი; 48. ბალეტი; 49. „იზა“; 50. სტელა; 51. ნეი; 52. ოკა; 53. ისარა; 54. ესე; 55. ბოი; 56. ია; 57. ზიგოტა; 58. მია; 59. მურმან; 60. უპე; 61. პიროგა; 62. დიუნი.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲝᲓᲣᲠᲘ ᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

Pantone Color Institute-ma მომავალი წლის ყველაზე აქტუალური ფერები დაასახელა. ექსპერტების თქმით, 2015 წელს ყველაზე მოდური იქნება შეფერილობა სახელწოდებით „მარსალა“ — თბილი ბორდოს-ფერ-ყავისფერი. მომავალი წლის მთავარმა ფერმა სახელწოდება იმავე სახელის მქონე ანალოგისგან, სიცილიური სადესერტო ღვინისგან მიიღო. მარსალა გემრიელი კერძისგან მიღებულ სიამოვნებას გულისხმობს, მისი წითელ-ყავისფერი შეფერილობა კი ბუნებრიობასა და დახვეწილობას ასხივებს, — ნათქვამია Pantone-ს საიტზე. ფერების ინსტიტუტის დირექტორის განცხადებით, „მარსალა“ სტაბილურობასა და თავდაჯერებას გულისხმობს, თუმცა იმავდროულად, სითბოთი გავსებს. ყველაზე აქტუალურ შეფერილობას Pantone უკვე 2000 წლიდან ადგენს. მისი კოლორისტების რეკომენდაციებს ყურადღებას აქცევენ მოდის სფეროს წარმომადგენლები, კოსმეტოლოგები, გრაფიკული თუ ინტერიერის დიზაინერები. წლის მთავარი ფერის დასადგენად სპეციალისტები აანალიზებენ სხვადასხვა ტრენდსა და მოვლენებს: კინოინდუსტრიის სიახლეები, ხელოვნების მინუშები კოლექციები, პოპულარული ტურისტული მიმართულებები, სოციალური და ეკონომიკური მოვლენები. შედეგად კი სახელდება ფერი, რომელიც, ანალიტიკოსების აზრით, მყიდველის განწყობასა და შეხედულებებს ასახავს. წელს ასეთი აქტუალური ფერი, Pantone-ს ვერსიით, „მბრწყინავი ორქიდეა“ იყო, 2013-ში — ზურმუხტისფერი, 2012-ში — „მანდარინის ტანგო“.

ᲣᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲡ ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲡ ᲰᲧᲘᲓᲘᲐᲜ

დიდ ბრიტანეთში გაყიდვაშია დელიკატესების საშობაო ნაკრები, რომელიც 85 650 გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 134,5 ათასი დოლარი) ღირს. პროდუქტს მყიდველს დაწნული კალათით მიართმევენ, ნაკრების ავტორი კი კომპანია VeryFirstTo-ა, რომლიც ლუქსის ტიპის საჩუქრებით ვაჭრობს. მათი შეთავაზება უკვე „მოინათლა“ მსოფლიოში უძვირესი საშობაო საკვების ნაკრებად. კომპლექტში შედის: 250 გრამი მეტად იშვიათი ხიზილალა, რომელსაც ალბინოსი-თინუსისგან იღებენ, 600 გრამი ფუა-გრა, 100 გრამი თეთრი ტრიუფელი, შოკოლადი, კანფეტების დიდი ყუთი, ტორტი და სხვა პროდუქტი. ნაკრებში შედის ასევე ხუთი ბოთლი ალკოჰოლური სასმელი, რომელთა შორისაა 200-წლიანი კონიაკი Jules Robin (ერთი ბოთლი 47 ათასი დოლარი ღირს). გარდა ამისა, მყიდველი მიიღებს ერთ ბოთლ შამპანურს იმ პარტიიდან, რომელიც 1981 წელს პრინც ჩარლზისა და პრინცესა დიანას ქორწილში მიირთვეს.

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲜᲐᲫᲕᲘᲡᲮᲔ ᲛᲝᲓᲣᲠᲘ ᲩᲐᲜᲗᲔᲑᲘᲗ

Fendi-ან შარშანდელი წარმატებული კოლაბორაციის შემდეგ, იტალიის დედაქალაქში მდებარე ხუთვარსკვლავიან სასტუმროში Hotel de Russie დადგეს საშობაო ნაძვისხე, რომელიც კვლავ მოდური სახლის დიზაინერებმა მორთეს. ამ რომაული ოტელის ეზოში ხუთმეტრიანი ნაძვისხე აკაშკაშდა, რომელსაც ცნობილი ბრენდის Baguette-ს ოქროსფერი და ვერცხლისფერი ჩანთები კიდია. თავისუფლების იდეით აღტაცებულმა, ოტელის ფლორისტმა სებასტიან ბირინგსმა კი სასტუმროს დარბაზისთვის სპეციალური მორთულობა შეიმუშვა, რომელსაც ოქროს გალიის ფორმა აქვს.

1. მოსამარ-თლის მოსასხამი
2. მოწყობილობა ცხენის სამართავად
3. პურის ნაჭრების შესაწვავი მოწყობილობა
4. კუდიანი ვარსკვლავი
5.გოლიათი მონადირე ბერძნულ მითოლოგიაში
6. კომპიუტერული პროგრამა
7. ცოლის დის ქმარი
8. წყვილი ორიანი კამათელზე
9.თეზევსის მეუღლე ბერძნულ მითოლოგიაში
10. ქალისა და ვაჟის წყვილი ჩოგბურთში
11. კაზაკთა ჯარის მეთაური
12.სახოტბო შეძ. ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში
13.სასუფრე ყურძნის ჯიში
14.იტალიური სპორტული ავტომობილი
15.ლოცვის წიგნების დასადები მაგიდა ეკლესიაში
16. განხეთქილების ქალღ. ბერძნულ მითოლოგიაში
17.აზელილი ბოსტნეულისგან მომზადებული კერძი
18.არისტოკრატთა სპორტი
19. იორდანიის დედაქალაქი
20. პოლონეზით ცნობილი პოლონელი კომპოზიტორი
21. ლონდონის საქმიანი ცენტრი
22. მიანმარის ძველი სახელწოდება
23. ვირტუოზი მევიოლინე ვანესა ...
24. პორტუგალიის დედაქალაქი
25.ტროას მეორე სახელი
26.ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
27. დიდი უნგრელი კომპოზიტორი
28. „საჩაიე“ ციტრუსი
29. შხამიანი გომბეშო
30. ჰოლივუდის მსაახიობი მიკი ...
31. ზღვის დიდი კიბო
32. ხრიკი, ფანდი
33. „ოქროს გასაღების“ პერსონაჟი
34. რომაელი მხედართმთავარი
35. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
36.„მფრინავ ჰოლანდიელად“ წოდებული ფეხბურთელი
37. ჩხირისებური ბაქტერია
38. სამხრეთ აზიის მდინარე
39.მომღერალი ... ვიკულე
40.ინდოელი მწერალი
41. წყვილჩლიქოსანი ძუძუმწოვარი ცხოველი, აფრიკული ანტილოპა
42. ბულგარული არაყი
43. ამერიკელი ნობელიანტი მწერალი
44.სიგრძის საზომი ერთეული ძველ საქართველოში
45. ზურიკელა ვაშალომიძის ძაღლი
46. მწერალი ... ტვენი
47. გერმანული კოსმეტიკური ფირმა
48.ფრანგული მდიდრული მოდის დიზაინის სახლი
49. ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსი
50. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
51. ფერადი ქსოვილის ნაჭრებით შედგ. კომპოზიცია
52. მდინარე აფრიკაში
53. აშუღი ... გურჯი
54. სპორტული გაერთიანება
55. ქალაქი დასავლეთ რუსეთში
56. მაროს ქმარი „გარიგებაში“
57. ზურიკელა ვაშალომიძის ბებია
58. ადამიანის ფეხის ქვედა ნაწილი
59.ალბერტო მორავიას ცნობილი რომანი
60. ცხენბურთი
61.იაპონური ქალაღლის ფიგურები
62. სოფელი წალენჯიხის რაიონში
63.ნიგვზიანი კერძი
64.ბიბლიური პატრიარქი
65. ჭაობის მცენარე
66. იაპონური თეატრის სახეობა
67.სადეზინფექციო ქიმიური ელემენტი
68. გარდაცვლილის სული ჩინურ მითოლოგიაში
69. აღმოსავლეთ მეზღვაურთა სლენგზე
70.ოქროს ურდოს სარდალი
71.კოვბოის ქამანდი
72. ფუტკრის სახლი
73. ამერიკელთა მეტსახელი
74. ლითონის თხელი ფურცელი
75.შეძახილი მსახიობის გამოსვლის გასამეორებლად
76.თამბაქოს დახვეული ფოთოლი მოსაწევად
77. ყველაზე დიდი თუთიყუში
78. მუსიკალური გამის I ნოტი
79. მეორე საუზმე
80.ჯაყო ჯვივაშვილის ეროვნება
81. ტყის ვაშლი
82. იუპიტერის და თემიდას ასული
83. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
84. მწერალი ... ჩიანელი
85.კავშირი ქართულ ენაში
86. რძის პროდუქტი
87. აშშ-ის უდიდესი მდინარე
88. თმის მცენარეული საღებავი
89. ვულკანი ფილიპინებზე

პენსიონერმა საჩუქრები დაარიგა

ამერიკელმა პენსიონერმა სათამაშოების ერთ-ერთი მაღაზიის სტუმრებისთვის 20 ათასი დოლარის საჩუქრები შეიძინა. მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბილინგემში, ადგილობრივი მაღაზიის კლიენტები ერთმა მოხუცმა გააბედნიერა საშობაო საჩუქრებით — მათ მიერ დაჯავშნილი სათამაშოების თანხა, რომელიც 20 ათას დოლარს აღწევდა, პენსიონერმა ქალმა გადაიხადა. როგორც მაღაზიის თანამშრომელი ამბობს, მოხუცმა უცხო ადამიანების 150 საჩუქრის ფული გადაიხადა. ამ ფაქტით აღელვებული მაღაზიის მენეჯერი მას გადაეხვია და მადლობა გადაუხადა. თუკი რაღაც გაქვთ, რისი გაცემაც შეიძლება, უნდა გასცეთ, — განაცხადა პენსიონერმა და დასძინა, რომ ახლა უკეთ დაიძინებს ხოლმე. როგორც სათამაშოების მაღაზიის წარმომადგენლები ამბობენ, ბოლო დროს სულ უფრო ხშირად მოდიან ასეთი ადამიანები, რომლებიც მზად არიან, უცხოებისთვის საჩუქრები შეიძინონ. ეს კეთილი საქციელი შესანიშნავი მაგალითია, როგორი უნდა იყოს ნამდვილი საშობაო საჩუქარი, — აცხადებენ ისინი.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.